# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№37 (24.917) ხუთშაბათი, 14 - 15 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისარს კაირატ აბდრახმანოვს შეხვდა. განიხილეს საქართველოს წარმატებული თანამშრომლობა ეუთოს ინსტიტუტებთან. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებათა მაღალი საერთაშორისო სტანდარტები და გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. მთავრობის მეთაურმა უმაღლეს კომისარს მადლობა გადაუხადა აქტიური ჩართულობისთვის საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის პროცესში.

* * *

მიმდინარე კვირის ბოლოს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში ჩასვლას გეგმავს. „მქონდა კომუნიკაცია ჩემს უკრაინელ კოლეგასთან და დავუდასტურე უკრაინაში ვიზიტისთვის მზაობა. ნამდვილად სამაგალითოა ის გმირული შემართება, რომლითაც უკრაინელი ხალხი და მისი ხელისუფლება იცავს თავის სამშობლოს და მომავალს. ჩემმა კოლეგამ კვლავ დამიდასტურა მისი სურვილი, რომ მიმიღოს უკრაინაში, რათა უშუალოდ გამიზიაროს რუსული აგრესიით გამოწვეული ადამიანური ტრაგედიები და ნგრევის შედეგები“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

* * *

პარლამენტმა 87 ხმით, 1 წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა „ამნისტიის შესახებ“ კანონს. კანონის მიხედვით, კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სახელმწიფოს მიერ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის დაწესებული შეზღუდვების კომპენსირების მიზნით, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს სასჯელი უმცირდებათ და პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი სასჯელის მოხდის ვადაში ეთვლებათ განსხვავებული წესით. აგრეთვე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებიან სს კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებს პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი სასჯელის მოხდის ვადაში ეთვლებათ განსხვავებული წესით.

მოამზადა
ია შველიძემ

# „დარწმუნებული ვარ, შემოვლენ კი არა, ძალიან მალე შემოცუნცულდებიან“

***პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენების შემცირების უზრუნველსაყოფად, აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, სტუდენტებს, რომელთაც მოცემული მომენტისთვის დავალიანება აქვთ და მათი სოციალური ქულა 150 000-მდეა, გადასახადი დაუფინანსდებათ. პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოიყოფა***

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, სტუდენტთა დახმარების არაერთ პროგრამას ახორციელებს. აჭარაში სტუდენტთა დახმარების და სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლის პროგრამები მოქმედებს. დახმარების პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია, 2022 წლისთვის იგი 1,5 მლნ ლარს შეადგენს. სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2012 წლიდან ხორციელდება, სწავლა სხვადასხვა სტატუსის მქონე სტუდენტებს უფინანსდებათ. წელს, სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, აჭარაში 3 მილიონი ლარია გამოყოფილი.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სტუდენტებს შეხვდა და გადაწყვეტილებაზე ესაუბრა, რომელიც 1000-ზე მეტი სტუდენტისთვის სწავლის საფასურის დაფინანსებას ითვალისწინებს.

შეხვედრას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

შეხვედრის შემდეგ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ბათუმის საკრებულოს დაკომპლექტებასთან და ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, შეკითხვებს უპასუხა. თავდაპირველად მან ბათუმელებს მადლობა გადაუხადა ბოლო არჩევნებზე გამოხატული ნდობისთვის:

„კიდევ ერთხელ მსურს მადლობა გადავუხადო ჩვენს ძვირფას ბათუმელებს იმ დიდი და უპრეცედენტო მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ გამოავლინეს ბოლო არჩევნებში. შესაბამისად, შედეგმაც არ დააყოვნა. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ბათუმელების წინაშე, რომ ყოველდღიურად, როგორც მთავრობამ, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტმა, როგორც მერიამ, ისე საკრებულომ, იზრუნოს მათი გამოწვევებისა და ბათუმის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.“

როგორც თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, ბათუმელებმა არ უნდა ინერვიულონ იმაზე, გადაწყვეტენ თუ არა „ნაციონალები“ საკრებულოში შესვლას.

„მინდა გითხრათ და გაგახაროთ, რომ ყველაფერი მიდის ჩვენი გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება ოპოზიციას და, განსაკუთრებით, რადიკალური ნაწილს - მოღალატეების ფრთას, ომის პარტიას, მათი ადგილი, ჩემი აზრით, არ არის არც საკრებულოში, არც უმაღლეს საბჭოში. შესაბამისად, მათი ადგილი, კარგ შემთხვევაში, არის ქუჩაში, ცუდ შემთხვევაში - ციხეში. ამიტომ დიდად არ უნდა ვინერვიულოთ არც ჩვენ, არც ბათუმელებმა, გადაწყვეტენ თუ არა ისინი შემოსვლას შესაბამის პოლიტიკურ და მუნიციპალურ ორგანოში. დარწმუნებული ვარ, შემოვლენ კი არა, ძალიან მალე შემოცუნცულდებიან, როგორც ეს გააკეთეს უმაღლეს საბჭოში, ასე რომ, გეგმის მიხედვით ვმოქმედებთ. თქვენ ნახავთ, რომ საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას წინ არაფერი უდგას. როგორც რამდენიმე წლის წინ, რადიკალურ ოპოზიციასთან და მათ შორის, მათთან კავშირში მყოფ როგორც გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთობლივ მედიასაშუალებასთან დაკავშირებით, პოზიცია არის ძალიან მყარი და ნათელი - ვმოქმედებთ შემდეგი 10 წლის გეგმის შესაბამისად. ასე რომ, მიუხედავად იმისა, ვინ რას გადაწყვეტს ჩვენი ოპოზიციიდან, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. მარტივია. რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, სხვა საკითხებს ოპოზიციას უნდა ჰკითხოთ, რამდენად აწყობთ რიგგარეშე არჩევნები“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ელენე საყვარელიძე

## საპილოტე პროგრამა - ახალი საპარკინგე სივრცეების შექმნა

2

## «პრემიერის სტაბილური, გონივრული და ფრთხილი ნაბიჯები პოზიტიურად შეფასდება საქართველოს ისტორიაში»

4

## რომელ ბანაკში მოხვდება სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა?

3

## სად უნდა მივიტანოთ ამანათები უკრაინელებისთვის?

5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# საპილოტე პროგრამა - ახალი საპარკინგე სივრცეების შექმნა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

***ახალი საპარკინგე სივრცეების შექმნასთან დაკავშირებით საპილოტე პროგრამაზე მუშაობა დაიწყო***

„საპილოტე ტერიტორიაზე დავიწყებთ პარკირების სისტემის მდგრად განვითარებას, რაც გულისხმობს დაგეგმვისა და აღსრულების ოპტიმალური მექანიზმის დანერგვას", - განაცხადა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც პროექტის - „პარკინგის მართვის კვლევა ბათუმის საპილოტე ტერიტორიაზე" ფარგლებში გაიმართა.

- ახალი საპარკინგე სივრცეების შექმნასთან დაკავშირებით ჩვენ დავიწყეთ საპილოტე პროგრამაზე მუშაობა. გამოწვევების საპასუხოდ, საერთაშორისო და საკონსულტაციო ორგანიზაციებთან ერთობლივად ვმუშაობთ, რათა ამ მიმართულებით არ შეექმნათ დისკომფორტი როგორც ჩვენს თანაქალაქელებს, ასევე ქალაქის სტუმრებს, - აღნიშნა ბათუმის მერმა.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო კვლევის პირველადი შედეგები, იმსჯელეს საპილოტე ტერიტორიაზე პარკინგის დიზაინის შემუშავების თაობაზე. არჩილ ჩიქოვანის თქმით, უკვე დაწყებულია მზადება საპილოტე ტერიტორიაზე პარკინგის დიზაინის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია სატრანსპორტო საშუალებებისთვის საპარკინგე ტერიტორიაზე უსაფრთხო და ეფექტური წვდომა. მისივე განცხადებით, ურბანული განვითარების კუთხით, ავტოსადგომი არის ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც გლობალური პრობლემაა და ავტომობილების მატებამ გამოიწვია.

სამუშაო შეხვედრას ბათუმის მერიის, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ITP-ისა და ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანია STS-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ბათუმის საკრებულოში კრიზისი გრძელდება

***12 აპრილს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მიერ მოწვეული სხდომა კვორუმის არარსებობის გამო, ვერ გაიხსნა.*** დღის წესრიგი საკრებულოს გამოკლებული წევრის ნინო ბაციაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, ახალარჩეული საკრებულოს წევრის რამაზ ჯინჭარაძის უფლებამოსილების ცნობასა და საკრებულოს თავმჯდომარის არჩევას ითვალისწინებდა. რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია შეიკრიბოს და განიხილოს საკითხები, თუ სხდომას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, სხდომის გასახსნელად 35-წევრიან საკრებულოში მინიმუმ, 18 წევრის შეკრება იყო საჭირო.

სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", „ლელოს" და გახარიას პარტია „საქართველოსთვის" წევრები, ასევე, დამოუკიდებელი დეპუტატი არ დაესწრნენ. ირაკლი თავდგირიძემ გახარიას პარტია თვითმმართველობის არჩევნებიდან მალევე დატოვა და განაცხადა, რომ მისთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან" თანამშრომლობა მიუღებელია. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა საკრებულოს შეკრების მცდელობამდე თქვეს, რომ ისინი სხდომას არ დაესწრებოდნენ. „ლელო საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი კუპრაძის განცხადებით, ამის მიზეზი ისაა, რომ

იხ. მე-7 გვ.

# შუახევი-შუბნის გზაზე კლდე ჩამოიქცა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

***რამდენიმე წლის წინ დაიწყო და წელსაც გრძელდება შუახევი-შუბნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ასფალტის საფარის დაგება. 30-კილომეტრიანი გზის ცალკეულ მონაკვეთზე სამუშაოებს კონკურსში გამარჯვებული კომპანიები და ფირმები ასრულებენ. ზოგან სამუშაოთა ხარისხი არადამაკმაყოფილებელია***

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ გზაზე, სადაც ასფალტი უკვე დაგებულია, ზოგიერთები მუხლუხა ბულდოზერებით გადაადგილდებიან, რაც მეგზაურებს დამატებით პრობლემებს, ხოლო მგზავრებს დისკომფორტს უქმნის. შარშან დაგებულ მონაკვეთებზეც კი ასფალტი აყრილი ან დაბზარულია. გზას ქვათაცვენაც, ზოგჯერ კლდის მასის ჩამოწოლაც აზიანებს.

შუახევი-შუბნის გზის სოფელ მახალაკიძეების მონაკვეთზე კლდე ჩამოიქცა. 20 გრძივ მეტრზე გზის სავალი ნაწილი თითქმის გადაკეტილია. მის გასატანად დღემდე ვერ მოიცალეს.

- შუახევში ტექნიკის ნაკლებობა გვაქვს. ეს წლევანდელმა ზამთარმა, თუნდაც გაზაფხულმაც ცხადყო. საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ტექნიკა მოძველებულია. გადავწყვიტეთ, რომ ამ წლის ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხა გამოვყოთ ტექნიკის შესაძენად, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მირიან აბაშიძემ.

ქვათაცვენა და მეწყრული პროცესები გააქტიურებულია ხიჭაური-ნაღვარევის, შუახევი-უჩამბის, დღვანი-ლომანაურის გზებზეც.

# შენობა საფრთხეშია, მიწის ნაკვეთი კი იტბორება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

***თავის დროზე, დიდი ძალისხმევის ფასად, სოფელ მაწყვალთაში სკოლის შენობისთვის საჭირო ტერიტორია ძლივს გამონახეს. ახლა სოფელში თანამედროვე სტანდარტების სკოლაა, სხვა სოფლებისგან განსხვავებით, მოსწავლეთა კონტინგენტიც საკმაოა***

მურმან ნაკაიძის საკუთრებაში არსებული 2000 კვადრატული მეტრი სახნავი მიწა სკოლის ტერიტორიას ემიჯნება. მისი მშენებლობისას იყო შეპირება შუახევის მუნიციპალიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელებისგან, რომ სკოლის ტერიტორიაზე ჩამონადენ წყლებს დიდი წყალგამტარობის მილებში მოაქცევდნენ და სათანადო ადგილს მიუჩენდნენ. თუმცა შემდეგ ეს აღარავის გახსენებია.

წლევანდელ უხვთოვლიან ზამთარსა და წვიმიან გაზაფხულზე სკოლის შემოგარენსა და მურმან ნაკაიძის ნაკვეთში ჩამონადენმა წყლებმა ერთიორად მოიმატა. როგორც მაწყვალთაში «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» თანხების განკარგვისთვის გამართულ კრებაზე ითქვა, სკოლის სარდაფი წყლითაა ამოვსებული, მომატებული ნესტიანობა შენობის კედლებს აზიანებს, დატბორილ მიწის ნაკვეთზე ხვნათესვის სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია. ამის შესახებ შესჩივლეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძეს, მის მოადგილე გიორგი კეკელიძეს, მერის მოადგილე გურამ ზოიძეს, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ.

- მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. ჩამონადენი წყლისთვის ადგილი დროზე უნდა მიეჩინათ. თოვლიანობა, გახშირებული ნალექი და შეგუბებული წყალი მეწყრული პროცესის განვითარების საფრთხეს ქმნის. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ბიუჯეტში თანხებს გამოვნახავთ და პრობლემას აღმოვფხვრით, - თქვა გურამ ზოიძემ.

# როგორ მივიღოთ მართვის მოწმობა?

***შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 25 აპრილიდან B და BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილის ახალი სტანდარტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს***

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ასრულებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2022 წლის 25 აპრილიდან მართვის უფლების მიღების მსურველები პრაქტიკული გამოცდის ახალი სტანდარტებით ჩაბარებას რუსთავის, გორის, თელავის, ფოთის, ახალციხ-

ის, ქუთაისის, საჩხერის, ოზურგეთისა და ბათუმის სამსახურებში შეძლებენ. რაც შეეხება ზუგდიდის სამსახურს, ქალაქში გზებზე მიმდინარე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარება შესაძლებელი იქნება შესაბამისი სამუშაოების დასრულებისთანავე.

ცვლილებების მიხედვით, დახურულ მოედანზე სპეციალური მანევრების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მძღოლობის კანდიდატი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში. თითოეული საგამოცდო სამსახურისათვის შემუშავებულია რამდენიმე საგამოცდო მარშრუტი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდება.

სავალდებულო პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის გამოცდაზე რიგის დაჯავშნა, შესაძლებელია: უშუალოდ, სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადებით; ვებგვერდის მეშვეობით; მობილური აპლიკაციის საშუალებით.

მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გავიდეს პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში. არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში, მომდევნო გამოცდაზე გასვლა შესაძლებელი იქნება რიგის დაჯავშნით, არა უადრეს 30 დღისა.

365-დღიანი ვადის ამოწურვის შემთხვევაში, თეორიული და პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მიღებული დამაკმაყოფილებელი შედეგი კარგავს იურიდიულ ძალას", - წერია ინფორმაციაში.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

# რომელ ბანაკში მოხვდება სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა დაგვანახა, რომ ზესახელმწიფოები პირველობისთვის იბრძვიან. ზოგი ამბობს, რომ დასავლეთმა დათმო უკრაინა, ზოგი კი თვლის, რომ, აშშ-მა ჩაითრია რუსეთი უკრაინის ორომტრიალში, რათა გამოფიტოს მისი რესურსები და ამ ფონზე ისმის არაერთი კითხვა - როგორ წარიმართება სამომავლოდ დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობა, რატომ განიზრახა რუსეთმა უკრაინის სატელიტ ქვეყნად გადაქცევა და მიმდინარეობს თუ არა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება?*** დასავლელი ექსპერტები ხაზგასმით აცხადებენ, რომ ამჟამად უკრაინაში, გარკვეულწილად, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს და ამ მიმართებით ერთმანეთს დასავლეთი და რუსეთი უპირისპირდებიან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას ასეთი ფართომასშტაბიანი ომი მართლაც არ ახსოვს, რეალურად, როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, რუსეთის მიზანია არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნების სრული კონტროლი, არამედ პრაქტიკულად, ნატოს ბლოკის დაშლა, რასაც, ცხადია, დასავლეთი ეწინააღმდეგება. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ტერიტორიებისთვის ბრძოლა, რომის, ბიზანტიის და ა. შ. ზეობის ხანა ამას ცხადყოფს. რა თქმა უნდა, სხვადასხვა პერიოდში თამაშის განსხვავებული წესები იყო და აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ ზესახელმწიფოებს შორის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს კონსენსუსი, დიდი ალბათობით, დროთა განმავლობაში გამოიკვეთება, თუ რა შეთანხმებას მიაღწევენ მთავარი აქტორები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. დღევანდელი სურათიდან ნათელია, რომ არ არსებობს შანსი აშშ-ისა და რუსეთს შორის უკრაინის (ასევე საქართველოს) საზიანო გარიგება შედგეს. აშშ-ისა და ევროკავშირის განცხადება, რომ არ ცნობენ გავლენის სფეროებს, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ რუსეთის აგრესია უკრაინისადმი. გვახსოვს, როგორ ითხოვდა პუტინი დასავლეთისგან მისთვის გავლენის სფეროების დაკანონებას. გარკვეულწილად ამ მოთხოვნის იგნორირებამ განაპირობა საომარი მოქმედებები უკრაინაში. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ექსპერტები. სხვათა შორის, კერძო ანალიტიკური ორგანიზაცია „სტრატფორი“ 15 წლის წინათ პროგნოზირებდა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის გაზრდას და აგრესიას, თუ დავაკვირდებით ბოლო 15 წლის პროცესებს, კარგად დავინახავთ, რომ რუსეთის ფედერაციამ შეძლო პოზიციების გამყარება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე არაღიარებული რესპუბლიკების ცნება შემოიტანა საერთაშორისო არენაზე. დაარღვია სუვერენული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა. ფაქტია, ევრაზიის, აზიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის როლი იზრდება, მან, როგორც ვთქვით, ბოლო 15 წლის განმავლობაში პოზიციები გაიმყარა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც. დასავლეთი გარკვეულწილად, ეგუებოდა რუსეთის ჰეგემონიას ზემოაღნიშნულ რეგიონებში. როგორც ჩანს, რუსეთმა დასავლეთის ასეთი პასიურობა სისუსტედ ჩათვალა და მორიგი ულტიმატუმი წაუყენა აშშ-ს უკრაინასთან მიმართებით, რის მიხედვითაც უკრაინა, პრაქტიკულად, რუსეთის ვასალი უნდა გახდეს, ამას არ დაეთანხმა არც დასავლეთი და მით უფრო უკრაინა და მივიღეთ ფართომასშტაბიანი ომი - რუსეთი ახორციელებს აგრესიას უკრაინის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელები თავგანწირვით იბრძვიან, რომ არა დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა, მათ გაუჭირდებოდათ რუსეთის შეკავება. და მაინც, ჩნდება კითხვა - შეეძლო თუ არა დასავლეთს ამ ომის თავიდან აცილება? ექსპერტებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ, თუმცა ისინი ერთ რამეში თანხმდებიან: ჩვენ გვიწევს ისეთ მსოფლიოში ურთიერთობა, იმგვარ პოლიტიკურ სივრცეში მოღვაწეობა, სადაც საერთაშორისო სამართლის ნორმები ირღვევა. ამ ცივილიზებული ნორმების აშკარა დამრღვევია რუსეთი და მის ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება დასავლეთს უჭირს, ძნელია იმის თქმა, რომ აშშ-სა და ევროკავშირს ამ ომის აღკვეთა შეეძლოთ და ეს არ გააკეთეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ომი არ მომზადებულა ერთ ან ხუთ თვეში, ომისთვის რუსეთი სერიოზულად მოემზადა და შეიჭრა კიდეც უკრაინაში. შედეგად მივიღეთ ათიათასობით დაღუპული და დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი, აღარაფერს ვამბობთ განადგურებულ ქალაქებსა და სოფლებზე... სხვათა შორის, ყირიმის ანექსიამდე ყოფილმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა მეთიუ ბრაიზამ თქვა, საქართველოში შეჭრის გამო რუსეთისთვის სანქციები რომ დაგვეწესებინა, ყირიმის ანექსია არ მოხდებოდაო... სავარაუდოდ, არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც რომ შეუვალი, პრინციპული ყოფილიყო, რა თქმა უნდა, რუსეთი ვერ შეძლებდა 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების მითვისებას, ჩვენ კარგად გვახსოვს 2007 წლის ნატოს სამიტი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ აშშ ითხოვდა, საქართველოსთვის და უკრაინისთვის მაპ-ი მიენიჭებინათ, ანუ დაეთანხმებინათ გერმანია, საფრანგეთი, იტალია ზემოაღნიშნული ქვეყნები ნატოს წევრობისთვის მიეცათ ხმა. როგორც ცნობილია, ნატო არის კოლექტიური ორგანიზაცია, სადაც ყველა სუბიექტის აზრს ითვალისწინებენ და, სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოს და უკრაინას მაპ-ი არ მიენიჭათ. უნდა ითქვას, რომ დასავლეთის არათანმიმდევრულობამ იმოქმედა უკრაინის მოვლენებზეც, რასაც მოჰყვა ჯერ ყირიმის ანექსია და ახლა უკვე ფართომასშტაბიანი აგრესია უკრაინის მიმართ რუსეთის მხრიდან.

*** ჩვენ კარგად გვახსოვს 2007 წლის ნატოს სამიტი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ აშშ ითხოვდა, საქართველოსთვის და უკრაინისთვის მაპ-ი მიენიჭებინათ, ანუ დაეთანხმებინათ გერმანია, საფრანგეთი, იტალია ზემოაღნიშნული ქვეყნები ნატოს წევრობისთვის მიეცათ ხმა. როგორც ცნობილია, ნატო არის კოლექტიური ორგანიზაცია, სადაც ყველა სუბიექტის აზრს ითვალისწინებენ და, სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოს და უკრაინას მაპ-ი არ მიენიჭათ***

როგორც ცნობილია, თვენახევარია მიმდინარეობს ომი უკრაინაში. ამ ომმა გარკვეულ კითხვებს გასცა პასუხი, დაიმსხვრა რუსეთის უძლეველობის მითი. უდავოა, რომ კრემლი ვარაუდობდა უკრაინის რამდენიმე დღეში აღებას, თუმცა უკრაინის ჯარი სასწაულებს ჩადის, მტერმა ვერ შეძლო კიევის, ხარკოვის, ოდესის და დასავლეთ უკრაინის დაპყრობა. რუსეთს გარკვეული წარმატებები აქვს აღმოსავლეთ ფრონტზე, ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ რუსეთმა ბუჩაში სასაკლაო მოაწყო, დახვრიტა მშვიდობიანი მოქალაქეები. უკრაინამ ეს ფაქტი გენოციდად შეაფასა. ანალოგიურ შეფასებას აკეთებენ დასავლელი ლიდერებიც. ისინი არ გამორიცხავენ რუსი მაღალჩინოსნების ჰააგის სასამართლო პასუხისგებაში მიცემას. ეს არ ნიშნავს, რომ რუსი სამხედროები და პოლიტიკური ელიტა რეალურად აგებს პასუხს, მაგრამ ეს დამნაშავეები უცხოეთში სამოგზაუროდ ვერ წავლენ. შეიძლება რუსი ჩინოვნიკებისთვის ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ დღევანდელ გლობალურ სამყაროში იზოლაციაში ყოფნა სასიკეთო არ იქნება, ამ მიმართებით დასავლეთი მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს მიმართავს რუსეთის მიმართ. უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის საკმაოდ არასახარბიელოა დაწესებული ეკონომიკური, თუ სამხედრო სანქციები, ბუნებრივია, სანქციები გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ისინი რუსეთს უკვე თითქმის ორი თვეა დაუწესდა. ამ სანქციების მიზანი ისაა, რომ რუსეთი დაუბრუნდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ... ყველაფრის მიუხედავად, რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში ე. წ. დაუსჯელობის სინდრომითაა გამორჩეული, აკეთებს იმას, რაც სურს. ამიტომ ვიდრე მას რადიკალური სანქციები არ დაუწესდება (ნავთობზე ფასის ხელოვნური დაცემა და საერთოდ, რუსულ ნავთობსა და გაზზე უარის თქმა), მანამდე დასავლეთი სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, სხვაგვარ ვითარებაში რუსეთთან ძნელია საუბარი, ვაჭრობა, რადგან ის უკიდურესობებს ითხოვს, მაგალითად, გავლენის სფეროების დაკანონებას, ტერიტორიების გადანაწილებას. ამაზე დასავლეთი არ მიდის, რადგან უკრაინისა და საქართველოს რუსულ ორბიტაში დარჩენა დასავლეთს შავ ზღვაზე კონტროლს დააკარგვინებს. ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავარი ამოცანაა, საქართველო და უკრაინა მსოფლიო პოლიტიკის რადარებიდან გაქრეს. ამის შესახებ საუბრობენ პოლიტოლოგები: „არა მგონია, რუსეთმა შეძლოს საქართველოს მნიშვნელობის დაკნინება, რადგან ჩვენი სამშობლო ისეთ ზესტრატეგიულ რეგიონში მდებარეობს, სადაც იკვეთება ზესახელმწიფოთა ინტერესები... საქართველო ერთგვარი დადასტურებაა რუსული აგრესიისა და ამის დავიწყებას დასავლეთი არ აპირებს, გარდა ამისა, როგორც ცნობილია, აშშ-ის კონგრესმა მიიღო არაერთი საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტი, რაც მრავალისმთქმელია. რომ არა დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოსადმი, ჩვენს ქვეყანას გაუძნელდებოდა სუვერენიტეტის შენარჩუნება“ – აცხადებს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ლევან ჯაყელი. ანალოგიური შეხედულებისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „თუ ჩვენ ევროპაზე უარს ვიტყვით, მთლიანად მოვექცევით რუსეთის ორბიტაზე. გარწმუნებთ, რომ როგორც კი უარვყოფთ დასავლურ კურსს, საქართველო მაშინვე აღმოჩნდება რუსული გავლენის ქვეშ... ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ, საქართველო როგორც სუბიექტი, დამოუკიდებლად ვერ ითამაშებს საერთაშორისო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერა, რათა ქვეყანამ შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრივად გაძლიერდეს“. ცხადია, რუსეთ-საქართველოს (ასევე რუსეთ-უკრაინის) ურთიერთობა მანამდე ვერ იქნება ნორმალური, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია არ მოხდება. რა თქმა უნდა, არის საკითხები, რისი დათმობაც არ შეიძლება, ესაა – დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენული არჩევანი. რუსეთმა, როგორც ექსპერტები აცხადებენ, უნდა იცოდეს, რომ საქართველოს არცერთი ხელისუფალი არ შეეგუება არსებულ რეალობას და მის დაკანონებას აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, სხვა საკითხების განხილვა, ურთიერთკომპრომისის მიღწევა კი შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, რუსეთი სუვერენული ქვეყნის არჩევანს პატივს სცემს, ანუ იმოქმედებს ცივილიზებული ქვეყნის დარად. რაც შეეხება მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას, უდავოა, რომ ეს უკვე მიმდინარეობს, უკრაინის ომი ამის თვალსაჩინო მაგალითია. აქ საკითხავია, სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) რომელ ბანაკში მოხვდება. ეს უმეტეს წილად, ამ სახელმწიფოების პრინციპულობაზე და ამავე დროს დასავლეთის მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული.

## უცხოეთი

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი უარს ამბობს, უკრაინაში რუსეთის ქმედებებს უწოდოს გენოციდი, უკრაინელებსა და რუსებს კი ძმებად მოიხსენიებს. მისი თქმით, რიტორიკის ესკალაცია მშვიდობის განახლებას ვერ უზრუნველყოფს. „ჟურნალისტის კითხვაზე, უწოდებს თუ არა იგი უკრაინაში რუსეთის ქმედებებს გენოციდს, მაკრონმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით - არა“, - წერს „სი-ენ-ენი“. საფრანგეთის პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ყველაფერს აკეთებს ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენისთვის. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, რუსეთი სჩადის ევროპაში უპრეცედენტო სამხედრო დანაშაულებს და საფრანგეთი თანამშრომლობს უკრაინასთან ამ დანაშაულების გამოძიებაში. უკრაინაში რუსეთის ქმედებები გენოციდად უკვე მოიხსენიეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა.

* * *

ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც საჭიროებს დენაციფიკაციას, რუსეთია, - ამის შესახებ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარს ლინკევიჩსმა განაცხადა. „გენოციდის, სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ამდენი საშინელი სცენის შემდეგ ნათელი ხდება, რომ რუსეთის ფედერაცია არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც საჭიროებს რეალურ დენაციფიკაციას“, - დაწერა მან „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე. სააგენტო „უნიანის“ ინფორმაციით, 2 მარტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ უკრაინაში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიება დაიწყო. სამუშაოების განხორციელების მიზნით, ლატვიამ აღნიშნული სასამართლოს ოფისი 100 ათასი ევროთი დააფინანსა.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერ ნედ პრაისის განცხადებები, უკრაინაში ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ, პროვოკაციულია, - განცხადება ამის შესახებ გაშინგტონში რუსეთის საელჩომ გააკეთა. „რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ რაიმე ქიმიური საშუალება თავიანთ განკარგულებაში, ვინაიდან ქვეყანამ ქიმიური იარაღის მარაგი 2017 წელს გაანადგურა,“ - აღნიშნულია საელჩოს განცხადებაში. რუსეთის მიერ მარიუპოლში ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენების თაობაზე ინფორმაცია ამ დღეებში უკრაინულმა მხარემ გაავრცელა.

* * *

არ მსურს, ფრანგმა ხალხმა ნავთობსა და გაზზე სანქციების შედეგები იწვნიოს, - ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, მხარს უჭერს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს, მაგრამ არა ნავთობისა და გაზის მიწოდების შეფერხებას. ლე პენი 24 აპრილს საფრანგეთის პრეზიდენტობისთვის ემანუელ მაკრონს მეორე ტურში დაუპირისპირდება. იგი პირველ ტურში მიღებული ხმების რაოდენობით მეორე ადგილზე გავიდა.

მოამზადა
ია შველიძემ

# „პრემიერის სტაბილური, გონივრული და ფრთხილი ნაბიჯები პოზიტიურად შეფასდება საქართველოს ისტორიაში“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მოსახლეობა მედიკამენტების დაბალ ფასებში შეძენას, რადგან თურქეთიდან საქართველოში შემოსული პროდუქცია ვერ ანაცვლებს ადგილობრივი ექიმების მიერ გამოწერილ წამლებს. აფთიაქში მისულმა, რაც უნდა მკაცრად მოითხოვო ესა თუ ის მედიკამენტი, გიპასუხებენ, რომ არ აქვთ ან არ იციან მისი თურქული ანალოგის შესახებ. ფაქტია, რომ პრემიერის დაწყებული „შეტევა“, ხელს არ აძლევს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს და ამ სფეროს წამყვანი მოთამაშეები ყველა ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება სარფიანად დაიცალონ ხელი და ზარალის გარეშე მოერგონ თამაშის ახალ წესებს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მთავრობამ შემდეგი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, უკვე 11 აპრილიდან, ექიმი ვალდებულია, წამალი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს, ფარმაცევტს კი ავალდებულებენ, მოქალაქეს 3 ყველაზე იაფი წამალი შესთავაზოს*

*ამ და სხვა სიახლეებზე, პარლამენტის უმრავლესობის პოზიციაზე, შუალედურ არჩევნებსა და საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე საუბრობს „აჭარასთან“ ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის წევრი* ***ზაალ მიქელაძე.***

**- ბატონო ზაალ, რას გვეტყვით პრემიერის ამ ინიციატივაზე?**

- საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი უკვე კარგა ხანია საჭიროებდა ჩარევას, რადგან წლების განმავლობაში სრულიად უკონტროლო გახდა ფასებთან მიმართებაში. ამიტომ მხოლოდ ახალი გზების მოძიება აღმოჩნდა გამოსავალი. აქედან გამომდინარე, მთავრობამ, პრემიერის ინიციატივით, სწორედ ეს დავალება მისცა ჯანდაცვის ახალ მინისტრს, რომელმაც სწრაფად და ეფექტურად მოაგვარა ამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. სიმართლე გითხრათ, მე, რომელიც საკმაოდ კარგად ვარ გათვითცნობიერებული ამ საკითხში, არც კი ველოდი, ასეთ მოკლე დროში თუ ვინმე შეძლებდა ამ უზარმაზარი ბაზრის შესწავლას, სერტიფიკაციას, თურქულ მწარმოებლებთან დაკავშირებას და იმ ქვეყნების სიაში დამატებას, რომელიც დაშვებულია ჩვენს ქვეყანაში.

**- რაც შეეხება საკანონმდებლო მხარეს?**

- პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო სათანადო კანონები, შეცვალა დამოკიდებულება. კერძოდ, ნებისმიერი ქვეყნიდან წამლების შემოტანის დროს, მედიკამენტების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სავალდებულო გახადა GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დაკმაყოფილება, რომ არ დარჩეს კითხვის ნიშნები, თუნდაც სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით.

**- ანუ, ახლა საქართველოში შემოსული ყველა მედიკამენტი მაღალი ხარისხის იქნება და შესაძლოა თურქეთს სხვა ქვეყნებიც დაემატოს?**

- რასაკვირველია, ეს სტანდარტი სწორედ ამას გულისხმობს. ამ ვალდებულებით, საქართველო აღიარებს ევროკავშირის სტანდარტებს ფარმაცევტული პროდუქტების ხარისხის კონტროლის მიმართულებით. მისი დანერგვა ხელს შეუწყობს ფარმაცევტული სექტორის გაძლიერებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თურქეთთან ერთად, მედიკამენტების შემოტანას სხვა ქვეყნებიც მოინდომებს და განსხვავებულ რეჟიმში არავინ რომ არ დარჩენილიყო, ყველა მათგანს GMP სტანდარტს მოთხოვენ. გასულ წელს, იგივე მოთხოვნა სავალდებულო გახდა ჩვენი მეწარმეებისთვის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პოზიციაზე რომ არ დარჩენილიყვნენ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებული მწარმოებლები, ყველას მოეთხოვება ეს სტანდარტი.

**- რამდენად აკმაყოფილებენ ჩვენი მწარმოებლები სტანდარტს და უკმაყოფილებას ხომ არ გამოთქვამენ მოგების შემცირების გამო?**

- ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული გრაფიკი და პერიოდი მიცემული ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება უკმაყოფილებას, მთავრობას ხომ არაფერი დაუშავებია? პირიქით, სტანდარტებში მოაქცია ფარმაცევტული ბაზრის პროდუქცია და ბაზარზე ალტერნატიული მომწოდებლები შემოუშვა. ეს თავადაც კარგად იციან, ისიც იციან, რომ ფასების დასაგდებად, ბაზარზე არ დაგვიშვია „ნებისმიერი,“ ყველა პროცესი ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში მიმდინარეობს. საქართველოში შემოვა ის კომპანიები, რომელიც წამლის ყველაზე მაღალ ხარისხს აკმაყოფილებს. ხელისუფლებას არ დაუწესებია ჩვენი ფარმაცევტებისთვის არანაირი შეზღუდვა. ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო და თავად უნდა გამოეჩინათ ინიციატივა, ძირითადი მწარმოებლები ხომ ჩვენი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებია? ასე რომ, ძალიან კარგად გრძნობდნენ, დღეს თუ ხვალ, აუცილებლად განიხილავდნენ ფარმაცევტული ბაზრის პრობლემას უფრო მაღალ დონეზე.

**- ლუგარის ლაბორატორიაზე რას გვეტყვით? ამ ბოლოს რუსეთი საკმაოდ ხშირად აპელირებს ამ თემით. ეს იწვევს გარკვეულ შიშს მოქალაქეებში, რომ ამ მიზეზით კრემლი დაგვარტყამს.**

- ეს თემა ახალი არ არის, მაგრამ მართლაც გახშირდა ამაზე საუბრები მოსკოვის „რუპორების“ მხრიდან. მას შემდეგ, რაც ამერიკელების მხარდაჭერით ეს ლაბორატორია გაიხსნა, რუსებს არ აძლევს მოსვენებას მისი დანიშნულება. არადა, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ობიექტია, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო საქართველოში ამ მიმართულებით. თუ ჩვენ სხვა ბევრ ქვეყანაზე ადრე შევძელით გარკვეული ინფექციების იდენტიფიცირება, მათთან ბრძოლის სწორი ტაქტიკის შემუშავება და დამარცხება (აქ კოვიდის გარდა გრიპის სხვა ვირუსებსაც ვგულისხმობ), ლუგარის ლაბორატორიის ცალსახა დამსახურებაა. ჯერ კიდევ 2008 წელს გაჩნდა კითხვები ლაბორატორიასთან დაკავშირებით. მაშინაც ვთავაზობდით და ახლაც ვთავაზობთ შესაბამისი საერთაშორისო სტატუსის მქონე ადამიანს, დელეგაციას, სპეციალისტს, ინტრიგანს, მოვიდეს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შევუშვებთ ლუგარის ლაბორატორიაში და ვაჩვენებთ, რომ იქ არაფერი განსხვავებული არ ხდება, გარდა იმისა, რაც უნდა ხდებოდეს სტანდარტულ, საერთაშორისო დონის ლაბორატორიაში.

**- ენმ-ის წევრი ნონა მამულაშვილი აცხადებს, რომ შალვა პაპუაშვილს უკრაინაში ჩასვლის ეშინია და ავადმყოფობაც ამიტომ მოიმიზეზა. მან პარლამენტის თავმჯდომარეს ოყნა, ბროწეული და პამპერსი გაუგზავნა და ამ ფორმით გამოხატა პროტესტი.**

- შალვა პაპუაშვილი არ არის ის კაცი, რაიმე რომ აშინებდეს. აღარ მინდა ამაზე საუბრის გაგრძელება, რადგან არ იმსახურებს არავისგან მსგავს პერფორმანსს. აქვე ვიტყვი, რომ შეკრებაზე ჩვენ განვიხილეთ უკრაინაში შესაძლო ჩასვლის საკითხი. გავახმოვანეთ მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები გაემგზავრებიან უკრაინაში, რაც შეეხება შემადგენლობას - მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**- რაში სჭირდება ზელენსკის ასეთი ზეწოლა საქართველოზე?**

- ბევრი ბინძური ფანდი გამოიყენეს უკრაინის უბედურების ხელზე დახვევით „ნაცებმა“, რითაც ახერხებენ ომში მყოფი ქვეყნის ყურადღების მათთვის საჭირო მიმართულებით წარმართვას, თორემ არავის ზედმეტი კითხვის ნიშანიც კი არ გასჩენია იმ აგრესიის, იმ საშინელებების ფონზე, რასაც რუსეთი სჩადის მეზობელი ქვეყნის და ზოგადად, ადამიანების მიმართ. უკრაინის ხელისუფლებისგან დაუმსახურებელი პრეტენზიები, რასაც დღეს გვიყენებენ, ძალით გააჩინეს აქედან პორტირებულმა „ნაცებმა“. ამ ურთულეს სიტუაციაში, არ ვაპირებთ პასუხის გაცემას და დამატებითი კითხვების დასმას. უბრალოდ, გასაოცარია, როდესაც ქვეყანას ასე უჭირს, ამდენი მსხვერპლი ჰყავს, ინფრასტრუქტურა და წარმოება აბსოლუტურად განადგურებულია და... პრეზიდენტმა მოიცალა ელჩის ჯერ გამოსათხოვად, შემდეგ გასათავისუფლებლად და პაპუაშვილის ბუჩაში მისაწვევად. გასაგებია, რომ იქ კარგად „მუშაობენ ჩვენები“. გამზადებული და ჩაწოდებული აქვთ რიგი საკითხები, თორემ ვის ახსოვს საქართველო? ცხადია, სწორედ იქ პორტირებულებს არ ასვენებთ ჩვენი ქვეყანა და ცდილობენ მის ომში ჩათრევას. ეს მათი ხელწერაა, რადგან აქაც იგივეს აკეთებდნენ, ოსტატურად იყენებდნენ ნებისმიერ უბედურებას საკუთარი ინტერესების გასატარებლად და ასეთი მასშტაბის ტრაგედიას როგორ გაუშვებენ ხელიდან. პირადად მე და ჩემი თანაგუნდელებიც ასე ვხედავთ ამ ყველაფერს. თუმცა ბრძენი და გონიერია ქართველი ერი, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ახლახან ბათუმში ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგებით.

> *„ბევრი ბინძური ფანდი გამოიყენეს უკრაინის უბედურების ხელზე დახვევით „ნაცებმა“, რითაც ახერხებენ ომში მყოფი ქვეყნის ყურადღების მათთვის საჭირო მიმართულებით წარმართვას, თორემ არავის ზედმეტი კითხვის ნიშანიც კი არ გასჩენია იმ აგრესიის, იმ საშინელებების ფონზე, რასაც რუსეთი ჩადის მეზობელი ქვეყნის და ზოგადად, ადამიანების მიმართ*

**- ამ არჩევნებზე რას გვეტყვით, რომელიც რამაზ ჯინჭარაძემ მოიგო? იგი თქვენი მოადგილე იყო, როდესაც აჭარის ჯანდაცვის მინისტრი იყავით და კარგად იცნობთ.**

- ძალიან გამიხარდა მისი გამარჯვება, ღირსეული და უხინჯო კანდიდატი იყო, ოპოზიციასაც აღარაფერი დაურჩა სათქმელი. მართალია, ამავე უბანში, არჩევნების პირველ ტურში ოპოზიციის კანდიდატს მისცეს ხმა, მაგრამ ახლა, სწორედ ოპოზიციური ნაწილის უღირსმა ქცევამ უბიძგა ადამიანებს, აზრი შეეცვალა. არათუ ჩვენმა მომხრეებმა, მათ მიერ მოყვანილმა ამომრჩეველმაც „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი, რასაც ადრე არაფრით დაუშვებდნენ. ეს ინფორმაციები სარწმუნოა, არაფერს ვამატებ, პირიქით, შეიძლება რაღაცას ვაკლებ კიდეც, რადგან არ მინდა ამ თემის განვრცობა. დარწმუნებული ვარ, ახლა უკრაინელებს არ სცალია ჩვენთვის და არც უნდა ეცალოთ, მაგრამ უფლის წყალობით, მათი გამარჯვებით დასრულდება ეს ომი, ხვალ-ზეგ მოიცლიან საქართველოსთვის და დაინახავენ, რა წვრილმანებზე გააკეთეს აქცენტი მაშინ, როდესაც საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდათ ჩვენგან და გავაკეთეთ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ამის რეალური შესაძლებლობა გაგვაჩნდა.

**- სხვა პრეტენზიებთან ერთად, უკრაინა ბრალს გვდებს რძის პროდუქტის რუსეთში ექსპორტისთვის.**

- სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რა რძის პროდუქტებზეა საუბარი, მაშინ როდესაც, ჩვენი ქვეყანა ვერ აწარმოებს საკუთარი მოსახლეობის მესამედის დასაკმაყოფილებელ (ნეტავი კი აწარმოებდეს) რძის პროდუქტს. რა გვაქვს ამდენი, ექსპორტზე რომ გავიტანოთ და რუსეთს მივაწოდოთ? ეს არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. უკრაინაში, ომის მიუხედავად, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მეცხოველეობის მსხვილი ფერმები და ალბათ, იგივე მასშტაბის ფერმები ჰგონიათ ჩვენს ქვეყანაშიც. თქვენ და მკითხველმაც ხომ კარგად იცის, ქვეყანაში ამ მიმართულების ერთი ნორმალური სიმძლავრის საწარმოც არ გაგვაჩნია. თუ ვიღაცამ ერთი ვედრო რძე ან ერთი სამარშრუტო ტაქსით მწვანილი გაიტანა, სალაპარაკოა? უკრაინის ფოსტის მონაცემებით ჩანს, რომ 191 ქვეყნიდან პირველ ადგილზე ვართ ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნაში. ყველაფერი ეს ხომ უკრაინის მხარში დგომაა და ნუ მოთხოვენ ჩვენს პატარა, ღარიბ ქვეყანას ომში ჩართვას, ნუ დაგვაძალებენ იმაზე მეტს, ვიდრე შეგვიძლია. ჩვენ ჯერაც ვერ მოგვიშუშებია რუსეთის აგრესიით მოყენებული ტკივილი, ვერ გამოგვიტირებია მათ მიერ დახოცილი ბიჭები, მოხუცები, ბავშვები, ჯერაც ვერ მოსულან აზრზე სასტიკი ომით საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ქცეული ადამიანები. ომის შემთხვევაში, იმ მცირე მხარდაჭერასაც ვეღარ გამოვხატავთ, რასაც ამ ეტაპზე ვაკეთებთ.

**- ყველაზე მეტად, რუსეთში გასაგზავნი ტვირთებისთვის საქართველოს ტრანზიტად გამოყენების ბრალდებამ დაგვაბნია.**

- პრაქტიკულად, ყველა საინფორმაციო გადაცემაში ვეძებ, იქნებ სადმე გაიჟღეროს რეალურმა ფაქტმა. არსად არაფერი ისმის და ეს გასაგებიცაა, როგორ შეიძლება საქართველოდან რამეს გატანის იმედად დარჩენილიყო ამხელა რუსეთი. ამ მასშტაბის ომი თითქოსდა ჩვენს მიერ მიწოდებული იარაღის იმედად წამოიწყო? თავისიანებში მოძებნონ „ნაცებმა“ ტვირთის გადამზიდი, რადგან ისინი დარბიან ყველა მეორე დღეს უკრაინაში. მათ უფრო მეტი „ბიძები“ ჰყავთ რუსეთში და საკუთარ ლიდერებში (ჯერ კიდევ რუსეთის მოქალაქეებში), მოიკითხონ, ვის რა გააქვს და გამოაქვს.

**- რადგან მოსკოვს შეგეხეთ, იქ ჩასულ ჩვენს პოლიტიკოსებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.**

- „პატრიოტებიც“ კარგად იყვნენ მიტმასნილი ენმ-ს და ყველა ერთ გუნდად შეკრული გვებრძოდა. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ენმ-ს დავალებაც აქვს მოსკოვში შესასრულებელი. ამ თემაზე მეტი რა უნდა ვთქვა, ჩემი განსჯა არ იქნება სხვებისგან განსხვავებული, ერთს დავამატებ, რომ ისტორია ყველას მიუჩენს ადგილს და ესენიც მიიღებენ საკუთარი ერის შვილებისგან საკადრის პასუხს. აქვე აღვნიშნავ, ბიძინა ივანიშვილმა არცერთ ეტაპზე არ მიიღო სხვა პარტიებთან კოალიციებში შეკრული „პატრიოტთა ალიანსი“. ამ პარტიას თავიდანვე ჰქონდა მკვეთრად გამოხატული რუსული მიმართულებები, თუმცა, ამის მიუხედავად, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კარგად ჩაიხუტა გულში, არც კი გახსენებია საკუთარი პროევროპული ორიენტაცია. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენი მთავრობა, მისი პრემიერი, ატარებს ყველაზე გამართულ სწორ პოლიტიკას. გარწმუნებთ, პრემიერის სტაბილური, გონივრული და ფრთხილი ნაბიჯები პოზიტიურად შეფასდება საქართველოს ისტორიაში. ამ სიფრთხილით მან შეძლო იმ უბედურების შეჩერება, რომელიც, შეიძლება, ვიღაცის გათვლით, ამ ქვეყნის გასანადგურებლად გამოეყენებინათ. ახლანდელ არჩევნებს გავიხსენებ და ვიტყვი, რომ ის 70%, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ აიღო, ხალხმა მისცა საქართველოს მთავრობის სწორი პოლიტიკის და ომის საფრთხის თავიდან აცილების გამო. ამაში დამეთანხმებიან სოციოლოგები და მოსახლეობის თვალსაზრისის შეფასებისას გამოჩნდება, რომ მართალი ვარ,

**- დაბოლოს, ბატონო ზაალ, პანდემიის შესახებაც გვითხარით - რა ეტაპზე ვართ?**

- ამჟამად, პანდემიის კიდევ ერთი ეტაპის დასასრულია. „ომიკრონი“ ეპიდემიოლოგიურად კაცობრიობის იმდენად დიდმა რაოდენობამ გადაიტანა, რომ რაღაც პერიოდში აღარ წამოვიდა ახალი ტალღა, იმუნიტეტი იყო შენარჩუნებული. ახლა სწორედ ამ ეტაპზე გადის დედამიწა, რომლის მოსახლეობის 70% ან აცრილია ან გადატანილი აქვს „კოვიდი“. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდი წყვეტა მოუწევს ვირუსს ახალი ტალღის წამოსაწყებად. ადამიანთა დიდი რაოდენობის ვაქცინირების შემთხვევაში, უფრო მეტი შანსი გვაქვს, მუტაცია ვეღარც კი განვითარდეს და გადავიდეს ჩვეულებრივი სეზონური ვირუსების სიაში, იშვიათი მცირემასშტაბიანი აფეთქებებით. მსოფლიო აღარ დადგება პანდემიის საფრთხის წინაშე.

# სად უნდა მივიტანოთ ამანათები უკრაინელებისთვის?

ხატია იაშვილი 591 98 24 26

*ბათუმელთა კონსოლიდაციაზე, უკრაინელი ლტოლვილების დახმარებასა და ქალაქში არსებული ჰუმანიტარული მიმართულების ცენტრების ფუნქციონირებაზე გვესაუბრება* ***გენო თეგიძე,*** *რომლის თაოსნობით და უშუალო ორგანიზებით რამდენიმე მიმღები პუნქტი მოეწყო, სადაც უკრაინაში გასაგზავნი ამანათები გროვდება.*

**- ბატონო გენო, გქონდათ თუ არა ამ მხრივ რაიმე გამოცდილება?**

- ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში ბათუმში, ქართველი აქტივისტების, უკრაინისა და ბელარუსის დიასპორების წარმომადგენელთა ინიციატივით, საპროტესტო აქციები იმართებოდა რუსეთის შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ. ჩვენთვის უკვე მაშინ გახდა გასაგები, რომ კრემლი საქართველოში 2008 წლის ომის სცენარის უკრაინაში გამეორებას აპირებდა. როდესაც მაშინდელი პრეზიდენტი, პარტნიორი ქვეყნების ხელმძღვანელებთან ერთად, მსოფლიოს ცივილიზებულ საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ რუსეთი აგრესორია და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი უნდა გაერთიანდეს მის წინააღმდეგ, არავის მიუღია ეს სერიოზულად. სხვადასხვა მიზეზის გამო, არც მკაცრი სანქციები დაუწესებიათ რუსეთისთვის და არც სხვა რამე დასჯის მექანიზმი გამოუყენებიათ. ისე ჩაირა ყველაფერმა, თითქოს არც არაფერი მომხდარა, მაგრამ უკვე 2014 წელს უკრაინაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად წართმეულმა ყირიმმა და აგერ ახლა, დონეცკის და ლუგანსკის ოლქებმა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა მთელი ევროპა. მიხვდნენ, რომ რუსეთს ველარაფრით შეაჩერებენ, რომ მოსკოვისთვის მხოლოდ საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების სისრულეში მოყვანაა მთავარი და ნაკლებად აინტერესებს დანარჩენი მსოფლიოს აზრი.

**- ანუ, სანამ რუსეთი უკრაინაში შევიდოდა, უკვე ატარებდით საპროტესტო აქციებს და იცოდით, რომ ასეთი მასშტაბის ომი დაიწყებოდა?**

- რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ ხალხის დაკვეთა იყო - ხელისუფლება არ შემოფარგლულიყო ზოგადი განხილვით და უფრო თამამი განცხადებები გაეკეთებინა რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

**- ჰუმანიტარული ცენტრი როდის ჩამოაყალიბეთ?**

- 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და დაიწყო მოხუცების, ბავშვების, ქალების, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ყლეტა. აქედან გამომდინარე, როდესაც დავინახეთ, რა ხდებოდა რეალურად და მივხვდით, რომ ეს არ დასრულდებოდა მოკლე დროში, გადავწყვიტეთ, დრო არ დაგვეკარგა და რაღაცით მაინც დავხმარებოდით ჩვენს პარტნიორ ქვეყანას.

**- საკმაოდ სწრაფად მოგიხდენიათ რეაგირება.**

- დიახ, რადგან მწარე გამოცდილება მიღებული გვქონდა. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომში ბათუმში გავხსენით ანალოგიური შტაბი და 200-250 ტონა ტვირთის ტრანსპორტირებას პირადად ვახლდი ხაშურში ბაჩუკი ჩხეიძესა და მამუკა მუჯირთან ერთად. პირველად 100 ტონა ფქვილი წავიღეთ, ვიცოდით, ნაკლებობას განიცდიდნენ, დავცალეთ ოთხი ტრაილერი, წამოვედით და იმ ღამის 4 საათზე დაიკავა რუსის ჯარმა ხაშური. აქედან გამომდინარე, გვქონდა გამოცდილება და ვიცოდით, ომის დაწყებასთან ერთად, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა იყო საჭირო, ამიტომ აღარ დაველოდეთ ოფიციალურ განაცხადს და გადავწყვიტეთ, თავად დავხმარებოდით გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენს ძმებს. აქვე ისიც გადავწყვიტე, ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა შემეჩერებინა, გვერდით გადამედო პოლიტიკური ამბიციები და როგორც ერთ რიგით ბათუმელს, პასუხისმგებლობა ამეღო ამ მიმართულებით. მიმდინარე აქციაზე განვაცხადე, რომ ვიწყებდით უკრაინელების დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვებას. ცენტრი „ლელოს“ ოფისში განთავსდა, მხარში დაგვიდგნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რადგან არ იყო დრო, დავლოდებოდით, რას მოიმოქმედებდნენ ქალაქის მესვეურნი.

**- მხოლოდ ოპოზიციურმა ძალებმა დაიწყეთ ეს პროცესი?**

- არა, ეს იდეა უკრაინისა და ბელარუსის დიასპორების წარმომადგენლებს შევთავაზეთ და მათაც გამოხატეს მზადყოფნა. აქვე მინდა დავასახელო ის ადამიანები (პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად), რომლებიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დადგნენ ჩვენ გვერდით. მათ შორისაა ლევან ანთაძე, რომელიც თავისი გამოცდილებითა და რესურსითაა ჩართული პროცესში, ელენე ხოშტარია, რომელმაც 20 დევნილი წაიყვანა და დააბინავა და სხვა.

**- იქნებ მისამართები გვითხრათ, მსურველებმა ამანათები რომ მოიტანონ.**

- ბათუმში სამ ადგილზე გაიხსნა ჰუმანიტარული ტვირთის მიმღები პუნქტები: გორგასლის ქ. №58, ფარნავაზ მეფის ქ. №46 და აღმაშენებლის ქ. №58. ამ ბოლო მისამართზე არის ცენტრალური საწყობი, სადაც მიმდინარეობს ტვირთების დაფასოება და გასაგზავნად გადანაწილება.

**- მაინც რა სახის პროდუქცია მოაქვთ, რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება?**

- მოაქვთ სურსათი, მედიკამენტები, ტანსაცმელი და აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთები. ყველაფერი ის, რაც ჩვენთან გროვდება, შეთანხმებულია უკრაინის მხარესთან. ვცდილობთ, იმ ჩამონათვალის მიხედვით შევავსოთ ამანათები, რომელიც გამოგვიგზავნეს უკრაინელებმა.

**- მხოლოდ ტვირთების შეგროვებით ხართ დაკავებული თუ დევნილებსაც მასპინძლობთ?**

- თავიდან მხოლოდ ჰუმანიტარულ ტვირთზე მუშაობა დავიწყეთ, მაგრამ როდესაც პროცესში ჩავერთეთ, თავისთავად შეხება გვქონდა დიასპორებთან, უკრაინელებთან. ძალიან მალე დავდექით დევნილთა მიღების, დაბინავების, სხვა საჭიროებების წინაშე.

**- თავიდან ალბათ არ იყო დიდი ნაკადი?**

- კი, რადგან, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში გადადიოდნენ, მაგრამ რაც უფრო გახანგრძლივდა ომი, მტრის მიერ დაბომბილი და მიწასთან გასწორებული ქალაქებიდან უფრო მეტი უკრაინელი წამოვიდა. ისეთი შემაძრწუნებელი სისასტიკით დაერია უკრაინელებს პირველი მარცხით გამწარებული რუსული არმია, რომ ძალიან ბევრმა ვერც კი გამოასწრო და ადგილზე დაიღუპა. დღეისთვის უკვე რამდენიმე ათასი უკრაინელია შემოსული ჩვენს ქვეყანაში.

**- ერთია ტვირთის შეგროვება და სულ სხვა - დევნილთა მიღება-გამასპინძლება.**

- მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობა გეკისრება, როდესაც სიკვდილს გამოქცეულ, ათასგვარ ხიფათს გამოტარებულ ადამიანებს ხვდები და მათზე ზრუნვას საკუთარ თავზე იღებ. მათ სჭირდებათ სამედიცინო დახმარება, განათლებასთან, სკოლამდელ აღზრდასთან, დაბინავებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. ბევრი დედა ჩვილი ბავშვითაა, რომლებსაც სრულიად განსხვავებული მომსახურება, კვება, ტანსაცმელი სჭირდება...

**- ყველაფერ ამას სახელმწიფო არ აფინანსებს?**

- ამ ეტაპზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ აუღია და ჩვენი შტაბი მოხალისეობრივად მუშაობს, თუმცა ტურიზმის დეპარტამენტი 1-დან 23 თებერვლამდე შემოსულ უკრაინელებს, რომლებიც ომის დაწყების გამო ვერ დაბრუნდნენ სამშობლოში, უზრუნველყოფს ბინითა და კვებით. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ამ დეპარტამენტთან, რადგან ახლა ორივე მხარე ერთ საქმეს ვაკეთებთ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ უკრაინელ დევნილთა დახმარების თუ ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება-გაგზავნის კუთხით, ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს.

**- ანუ სახელმწიფო სტრუქტურებიც ჩართული არიან ამ პროცესში?**

- არის სახელმწიფო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ოფიციალურად, ეს სტრუქტურები არ მონაწილეობენ პროცესში. აქედან გამომდინარე, ვითხოვთ, სახელმწიფომ უფრო მკაფიო განცხადებები გააკეთოს და მნიშვნელოვანი ქმედითი გადაწყვეტილებები მიიღოს დევნილების შესახებ მაინც. ამ პროცესს სხვა ქვეყნებიც აკვირდებიან, გვიყურებენ, აღნიშნავენ ჩვენ მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს, რაც უახლოეს დროში აისახება საქართველოს მომავალზე.

**- გამოდის, ოფიციალურად საქართველო არ ღებულობს დევნილებს?**

- არიან საჯარო მოხელეები, რომლებიც სახელმწიფო დონეზე აყენებენ ამ საკითხს და ბევრ პრობლემას ჩვენთან ერთად აგვარებენ. მათ გარეშე ბევრ საკითხში ვერ წავიწევდით წინ. ისინი ძალიან აქტიურობენ, მაგრამ მხოლოდ პირადი გადაწყვეტილებებით, ანუ ამის უფლებამოსილება ოფიციალურად არ გააჩნიათ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს კეთილი ნების გარეშე ვერც ამას გააკეთებდნენ, მაგრამ მთელი პროცესი მაინც კულუარულად მიმდინარეობს. მადლობელი ვარ ამ ხალხის, რომ არ დაიხიეს უკან და მხარში დაგვიდგნენ არა მხოლოდ ჩვენ და უკრაინელ დევნილებს, არამედ ჩვენს ქვეყანას, რადგან დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მთელი ეს ქმედებები აისახება ჩვენი მომავალი თაობის ყოფაზე.

**- რომელ სახელმწიფო მოხელეებზე საუბრობთ?**

- უბრალოდ, გეტყვით, სახელმწიფო მოხელე არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრს. ისინი ემსახურებიან საკუთარ ქვეყანას, არ შემოიფარგლებიან ვიწრო პარტიული ინტერესებითა და დოგმებით. მეამაყება, ასეთი ხალხი რომ ცხოვრობს ჩვენს ქალაქში.

**- სულ რამდენი უკრაინელი დევნილი გყავთ რეგისტრირებული?**

- ჩვენთან უკვე 850-მდე უკრაინელია რეგისტრირებული, რომლებსაც ვატარებთ როგორც ოფიციალურ ქართულ ბაზაში, ისე უკრაინულში - პირადი მონაცემებით, ასაკით, მისამართებით, ტელეფონის ნომრებით... ანუ ვავსებთ ყველა იმ გრაფას, რაც მნიშვნელოვანია ამ უწყებებისთვის. ბათუმში არის უკრაინული ჯგუფები, რომლებიც ძალიან კარგად მუშაობს. 11 უკრაინული რესტორანია, რომლებშიც უფასო კვებას სთავაზობენ თანამოძმეებს. ეს ყველაფერი საზოგადოებრივ საწყისებზეა.

**- გასაგებია, მაგრამ... რამდენ ხანს „გაქაჩავს“ ეს „საზოგადოებრივი საწყისები“, რომელიც ისედაც გაღატაკებულია?**

- აი, ესაა საქმე. ამიტომ ვითხოვთ სახელმწიფოს ჩართვას ამ პროცესში. რუსეთის აგრესიას მისდამი შიშით ვერ შევაჩერებთ. დღეს უკრაინელები ელოდებიან საქართველოს მთავრობის ქმედით ნაბიჯებს. მე მესმის... სიმართლე გითხრათ, არაფერი მესმის... ვუყურებ ამ ადამიანებს და ვხედავ, რამხელა გაჭირვება გამოიარეს, რა ტრაგედიას გამოექცნენ და აქ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი საწყისების ანაბრად რჩებიან. მათ ბათუმელები დაუდგნენ გვერდით და არა - მთავრობა, აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე სახელმწიფო იმიჯი დამოკიდებული და ჩამოკიდებულია საზოგადოებაზე, რომელიც მართლა ღირსეულად იქცევა. მოდიან ადამიანები, მიჰყავთ უკრაინელი ქალები, ბავშვები და მოხუცები, აცმევენ, ათბობენ, აპურებენ, ჭერს სთავაზობენ, ამშვიდებენ, ეფერებიან და ბოლო ლუკმას უყოფენ. ეს ყველაფერი მართლაც სჭირდება უზარმაზარი სტრესის ქვეშ მყოფ უკრაინელებს. ახლა ჩვენ ვეხმარებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ადამიანებს დაამშვიდებს და თავს უფრო სტაბილურად აგრძნობინებს სახელმწიფოს ოფიციალური დახმარება.

**- სახელმწიფო რუსეთის აგრესიის გამო არ იღებს უკრაინელ დევნილებს?**

- ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თქვა დიდმა შოთამ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“, არადა, ამ საკითხზე ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ფენის კითხვები მაღიზიანებს - მშვიდობა თუ თავისუფლება? როგორ შეიძლება თავისუფლებასა და მშვიდობას შორის შედარება გააკეთო? ეს ხომ დემაგოგიაა?!

**- თქვენ რომელი გსურთ?**

- მშვიდობა აუცილებელია განვითარებისთვის, მაგრამ თუ მონობაზეა ჩამოკიდებული... არ მინდა ასეთი მშვიდობა, რომელიც შვილებს მონობაში გამიზრდის. რა უნდა ვუთხრათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავლებს და 9 აპრილს დაღუპულ გმირებს?! ვიმეორებ, მშვიდობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რა ფასად მოვიპოვებთ მას. ისიც მინდა ვიცოდე, როგორ განვვითარდები - ვიღაცის კარზე თუ დამოუკიდებლად, დამოუკიდებელ სახელმწიფოში, საკუთარი დამწერლობის, ისტორიის, ლიტერატურის მქონე საზოგადოებაში. თავისუფალმა ერმა თავისუფლად უნდა ვიაზროვნოთ და თავისუფლად ვიცხოვროთ თავისუფალ გარემოში. 30 წელია, ამ ბრძოლაში ვარ და თუკი ისევ უკან მიმათრევს ვინმე, ის ადამიანიც და მისი აზრიც ჩემთვის მიუღებელია. ომი არავის უხარია და არც ის ტრაგედია, რაც ახლა ტრიალებს უკრაინაში. ყველაზე უკეთ ვიცით, რაც ხდება იქ, რადგან პირველი პირისგან ვისმენთ რუსების სისასტიკის ამბებს. აქ ყველა ერთად ვართ, არ ვაკეთებთ აქცენტს არც პოლიტიკაზე, არც ეროვნებაზე, ერთმანეთის ტკივილით ვცხოვრობთ და ერთმანეთის მიღწევებით ვხარობთ. ბევრი რამ ვისწავლეთ ჩვენი დევნილებისგან - ძალიან უტეხი სულის, სხვაგვარად შემართული ადამიანები არიან. არ მინდა პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, რადგან ახლა მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულად, ადამიანურად, კაცურად ვუგებთ ერთმანეთს და საერთო საქმეს ვაკეთებთ ამ საშინელი ომის დასასრულებლად.

> *„ჩვენთან უკვე 850-მდე უკრაინელია რეგისტრირებული, რომლებსაც ვატარებთ როგორც ოფიციალურ ქართულ ბაზაში, ისე უკრაინულში - პირადი მონაცემებით, ასაკით, მისამართებით, ტელეფონის ნომრებით... ანუ ვავსებთ ყველა იმ გრაფას, რაც მნიშვნელოვანია ამ უწყებებისთვის*

# კრემლი ჯო ბაიდენის განცხადებას „მიუღებელს“ უწოდებს

*კრემლმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ უკრაინაში რუსეთის ქმედებების „გენოციდად“ მოხსენიებას „მიუღებელი“ უწოდა.*

*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება აშშ-ს პრეზიდენტს.*

*„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარი ძალისხმევა სიტუაციის დამახინჯებისთვის მიუღებელია. ეს მიუღებელია შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან“, - განაცხადა პრესმდივანმა.*

***ცნობისთვის:*** *თეთრი სახლის ლიდერმა თქვა, რომ არსებობს მტკიცებულება უკრაინაში რუსული ჯარების მიერ „გენოციდური ქმედებების“ შესახებ.*

*ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბაიდენმა, უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით, სიტყვა „გენოციდი“ გამოიყენა.*

*BBC-ის ცნობით, გენოციდი საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრულია როგორც ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის მასობრივი განადგურება.*

**ამირან გურიელიძე**

# „ქართული ენის დაცვა და მოვლა-პატრონობა ახლაც პრობლემად რჩება“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*დაბადებიდან 65 წელი უსრულდება ფარმაციის დოქტორს, პროფესორს, 12 წიგნის, მათ შორის სამი სახელმძღვანელოს ავტორს, აბუსერისძე ტბელისა და ზურაბ გორგილაძის პრემიების ლაურეატს, მრავალი სასკოლო თუ სხვა პრემიის დამაარსებელს, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან არსებული ლიტერატურული პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის წევრს, ქართული კულტურის და სპორტის დიდ ქომაგს, მექართულეს, დედაენასთან დაკავშირებული 1978 წლის მოვლენების მონაწილე* ***ვლადიმერ მახარაძეს.***

**- ბატონო ვლადიმერ, სრულიად საქართველო მოიცვა მაშინ დედაენასთან დაკავშირებულმა საპროტესტო აქციებმა. რას გაიხსენებთ?**

- 1978 წელს მოსკოვში გადაწყვიტეს მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა. ამ ფაქტმა საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საპროტესტო მუხტის აგორების ინიციატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო, რომელსაც, ღიად თუ ფარულად, ინტელიგენცია მართავდა. მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი ვიყავი. ერთმა ჯგუფმა გავაღწიეთ ინსტიტუტიდან და მანიფესტანტებს ფილარმონიასთან შევუერთდით, სხვები აუდიტორიებში გამოკეტეს. დილიდანვე რუსთაველის გამზირი ხალხით გადაიჭედა. 14 აპრილს შეიქმნა ხალხზე ძალადობის რეალური საშიშროება. გარანტია იმისა, რომ ხელისუფლება ძალას არ გამოიყენებდა, არავის ჰქონდა. აქციის მონაწილეები კითხულობდნენ ლექსებს ქართულ ენაზე, გახმიანდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახელებიც, რომლებიც მაშინ დაპატიმრებულნი იყვნენ. მანიფესტაციის პარადა ფართო მასებს მოედო. მოძრაობა ახალგაზრდობაში არ დაწყებულა, ის დაიწყო საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებში და შემდეგ ახალგაზრდობამ გააგრძელა. სტუდენტობა რომ არა, უფროს თაობას ადვილად გაუსწორდებოდა საბჭოთა რეჟიმი. 1978 წლის მოვლენები იყო სტიქიური პროცესი, მთელი ერი თანაბრად აქტიურობდა. ამ პროცესს არ ჰყოლია „რეჟისორი“, თუმცა მთავარი წვლილი მაინც სტუდენტებს მიუძღვით. საკითხი, ცხადია, უმაღლეს დონეზე გადაწყდა. ვერსია ასეთია: 14 აპრილს, დილით, 12 საათისთვის, როცა ხალხი შეიკრიბა და ცხადი გახდა, რომ უკან არ დაიხევდა, ამიერკავკასიის ჯარების სარდალს დაურეკავს ლეონიდ ბრეჟნევისთვის. მან გადაწყვიტა - რახან კონსტიტუციაში ეს მუხლი აქამდეც იყო და ამით არაფერი დაშავებულა, ამიტომ ახლშიც შეიძლებოდა დარჩენილიყო. ბრეჟნევი გაწონასწორებული პიროვნება იყო - არ უყვარდა რყევები. მას მეორე დღეს ვიზიტი ჰქონდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოერიდა, ალბათ, საერთაშორისო სკანდალი არ აგორებულიყო... ამბობდნენ, ედუარდ შევარდნაძეც რამდენჯერმე ტელეფონით ესაუბრა კრემლს და შექმნილ ვითარებაში კომპრომისზე წასვლა მოითხოვა. სესიის შემდეგ იგი გამოვიდა ხალხში და გამოჰყვა მას კოლმეურნეობის მოედნამდე, რათა გამოერიდებინა ხალხის ტალღა რუსთაველის გამზირიდან. ისიც ვიცით, რომ პოლიტბიუროს სხდომაზე სუსლოვს უნდა განეხილა შევარდნაძის საკითხი, მაგრამ ბრეჟნევმა დაიცვა შევარდნაძე.

**- 44 წლის წინ მშობლიური ენის წართმევა დაგვიპირეს. ახლაც არანაკლები საფრთხის წინაშე ვდგავართ - ძირძველი, საუკუნეებს გამოტარებული სიტყვები ენიდან იდევნება და მათ ადგილს ბარბარიზმები იკავებს...**

- არანაირი გამართლება არა აქვს ქართული სიტყვების უცხოურით ჩანაცვლებას. ზოგს ეს ევროპული განათლების დასტური ჰგონია და თავს იწონებს, არადა, ეს წმინდა წყლის პროვინციალიზმი, მშობლიური ენის დაკნინება და გაღატაკებაა. აბა, რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმ ტენდენციას, რომ ულამაზეს ქართულ სიტყვებს უცხოურით ანაცვლებენ, მაგალითად, ღონისძიება - ფართიო, მგრძნობიარე - სენსიტიურიო, შემოქმედებითი - კრეატიულიო, პირდაპირი - ლაივიო... ვკითხულობ გაზეთ „აჭარაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებს. მადლობა, ქართულ ენას ასე რომ უფრთხილდებით. ენის სიწმინდეს უნდა იცავდეს ყველა: მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე. დიდი ილია გვაფრთხილებდა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“. ენა ხომ უპირველესი ნიშანია ერისა. შეიძლება ერმა ტერიტორია დაკარგოს, მაგრამ ენა თუ შეინარჩუნა, ერად რჩება, თუ ენა დაკარგა, ერი აღარ იქნება. ყოველი ადამიანი ვალდებულია, უყვარდეს თავისი ენა და, ამავე დროს, პატივს სცემდეს სხვისას. ამ საკითხზე ქართველი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების, ასევე ინტელიგენციის წაყრუებას, დუმილს გამართლება არა აქვს. ყალბ ინტერნაციონალიზმს ნამდვილი პატრიოტული გრძნობები არ უნდა შეეწიროს. განსაკუთრებით სცოდავენ ტელევიზიები, მასმედიის საშუალებები. როცა ცნობილი სახე ეკრანიდან ამბობს - „ღვინოს ვსვავ, წყალს ვსვავ“ და ამას რეაგირება არ მოჰყვება, ახალგაზრდობა მისი წაბაძვით არ წახდება?!

**- 21-ე საუკუნის დასაწყისამდე, ქართული ენის დამცავი ორგანოები მოქმედებდნენ...**

- 1978 წლის 14 აპრილი არ იყო უბრალო გამარჯვება. ეს გახლდათ ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელსაც ბევრი სხვა მოვლენაც მოჰყვა. ამ ამბის შემდეგ, 1979 და 1980 წლებში, შედგა ქართული ენის სწავლების პროგრამები, მთავრობამ მიიღო დადგენილება ენის სწავლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. 1988 წელს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა შემუშავდა, მოგვიანებით, დედაენას ძეგლიც დაუდგეს, ხოლო 14 აპრილი დედაენის დღედ გამოაცხადეს. ქართული ენის შესანარჩუნებლად ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ენის დაცვა, მისი მოვლა-პატრონობა ახლაც საჭირბოროტო პრობლემად რჩება.

**- ქართულ ენას, მის სიწმინდეს თავად როგორ იცავთ?**

- ადამიანს გამართულად და ლამაზი ქართულით საუბარი ისევე შვენის, როგორც კარგად მორგებული ტანსაცმელი. მე ქართულად ვწერ წიგნებს, სტატიებს. ვარ გაზეთ „ფარმაკონის“ მთავარი რედაქტორი, არაერთი პერიოდული გამოცემის რედაქტორი, „ფარმაცევტის ფიცის“ ტექსტისა და ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის ახალი ვარიანტის შემუშავების ინიციატორი და სხვა, ამიტომ ენის სიწმინდის დაცვა ჩემთვის მოვალეობაცაა და აუცილებლობაც. ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. როგორც კი ოდნავ დავეჭვდები, მაშინვე ვაზუსტებ, რომელი ფორმაა სწორი. ორთოგრაფიული ლექსიკონი ამ მხრივ შეუდარებელი და შეუცვლელია.

**- როგორ აფასებთ ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი?**

- ახალგაზრდობა ცუდი არ გვყავს, მას წრთობა სჭირდება, კარგი მაგალითები. 1978 წელს სწორედ სტუდენტმა ახალგაზრდობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. დარწმუნებული ვარ, ახლაც, საჭირო რომ დარჩეს, ახალგაზრდობა თავის სიტყვას იტყვის, მას სწორი მიმართულება კი უფროსი თაობის ადამიანებმა უნდა მივცეთ. ვფიქრობ, რაც უფრო მეტ ქვეყანას ნახავს ქართველი ახალგაზრდა, მით უფრო შეუყვარდება საკუთარი, მშობლიური. მგონი, ყველამ გააცნობიერა, რომ უძველესი ენისა და დამწერლობის ხალხი ვართ. სამი ორიგინალური შრიფტი გვაქვს მაშინ, როცა მრავალ ერსა და სახელმწიფოს ერთიც არა აქვს.

**- ქართული სპორტის დიდი ქომაგი ხართ. ამის დასტურია ისიც, რომ 2010 წლიდან ვლადიმერ მახარაძის ტურნირი ტარდება ქართულ ჭიდაობაში. ქართული ენა და ქართული ჭიდაობა გამორჩეული ფენომენია. რაა მთავარი, ერმა ერთიც და მეორეც რომ შეინარჩუნოს, უკეთ წარმოაჩინოს?**

- ქართული ანბანიც და ქართული ჭიდაობაც შეტანილია მსოფლიოს არამატერიალური კულტურის ძეგლების სიაში. ეს ქართველების წვლილია მსოფლიო ცივილიზაციაში. ამიტომ განსაკუთრებული გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება ორივეს. ქართული ჭიდაობის მესვეურებს, პატრიოტებს საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ ქართულმა ჭიდაობამ, როგორც უნიკალურმა მოვლენამ, მსოფლიო აღიარება მოიპოვოს. მე მჯერა მისი მომავლის.

**- რა როლს ანიჭებთ ქართულ ოჯახს?**

- ნებისმიერი სახელმწიფო ოჯახების ერთობლიობაა. ოჯახი პატარა სახელმწიფოაო, ხშირად გვესმის. მტკიცე ოჯახი ქვეყნის ბურჯია. როცა კაცის წარმოჩენა და დაფასება უნდათ, უპირველესად იკითხავენ, როგორი ოჯახი ჰყავსო. თუ კაცი რამდენიმეწევრიან ოჯახს ვერ უვლის, მისთვის დიდი საქმის ან კოლექტივის ჩაბარება როგორ შეიძლება?! ოჯახში მთავარი ურთიერთპატივისცემაა.

**- გაზეთ „აჭარას“ მარტში 101 წელი შეუსრულდა. თქვენი დამოკიდებულება ამ გამოცემისადმი?**

- „აჭარის“ მიმართ გამორჩეული სიყვარული და მოკრძალება მაქვს. გაზეთებთან: „მედიცინის მუშაკი“, „ოქტომბრის გზით“, „სოვეტსკაია ადჟარია“ ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება უკვე მქონდა, როცა ჩემი პირველი სტატია: „წამალი... მოდა?“ მივიტანე „აჭარის“ რედაქციაში, 1986 წლის იანვარში, განყოფილების გამგე შოთა ზოიძესთან. მან თბილად მიმიღო, ჩაასწორა რაღაც და გზა დამილოცა დიდი პუბლიცისტიკისაკენ. იმ დღიდან ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა ზოიძე ჩემი უფროსი მეგობარი გახდა. მან და მე წარვადგინეთ აჭარის ტელევიზიით „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო პლატფორმა 1990 წელს.

**- რა არის მთავარი, ადამიანი დავიწყებას რომ არ მიეცეს?**

- მადლიერი შთამომავლობა ინახავს იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც უანგაროდ ემსახურა ერს, ქვეყანას, პროფესიას. ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, საკუთარი „ეგო“ სხვაზე მაღლა არ უნდა დააყენოს, ქვეყანას უნდა ემსახუროს, არ იფიქროს, რას გამორჩეს და რა გამოხრას. ზურაბ გორგილაძის სიტყვებით დავასრულებ:

*„ვფიქრობ ასე ჩემს სენაკში*
*და ღვთის ცრემლებს ვიყოფ,*
*ღმერთმა ნუ ქნას, სამშობლოზე*
*ბედნიერი ვიყო“.*

> ***„მადლიერი შთამომავლობა ინახავს იმ ადამიანების ხსოვნას, ვინც უანგაროდ ემსახურა ერს, ქვეყანას, პროფესიას. ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, საკუთარი „ეგო“ სხვაზე მაღლა არ უნდა დააყენოს, ქვეყანას უნდა ემსახუროს, არ იფიქროს, რას გამორჩეს და რა გამოხრას***

# უკრაინისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდების მოცულობით საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა

საქართველოს რეგიონებიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის მეორე ეტაპი დასრულდა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის, რომელიც რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით განხორციელდა.

მეორე ეტაპზე უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ქვეყნის მასშტაბით შეგროვებული ტვირთის რაოდენობამ 90 ტონას გადაჭარბა. ჰუმანიტარული ტვირთის შესყიდვა მუნიციპალიტეტების მერიების სარეზერვო ფონდებიდან, ასევე საჯარო მოხელეების, მოქალაქეებისა და ბიზნესსექტორის ჩართულობით მოხდა. ტვირთი, ძირითადად, სამედიცინო დანიშნულების პროდუქციას, არამალფუჭებად პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებს მოიცავს.

შეგახსენებთ: უკრაინელი ხალხის დასახმარებლად პირველი ჰუმანიტარული ტვირთი თებერვალში გაიგზავნა. მისი ტრანსპორტირების ლოჯისტიკის პროცესი საქართველოს ფოსტამ უზრუნველყო.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის სახელმწიფო ფოსტა Ukrposhta-ს ინფორმაციით, საქართველო 191 ქვეყანას შორის უკრაინისთვის 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით პირველ ადგილზეა.

**ამირან გურიელიძე**

## უკრაინა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინაში რუსეთის ქმედებებს პირველად უწოდა გენოციდი. აიოვაში გამოსვლისას მან თქვა, რომ ამერიკის ბიუჯეტები არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ჩაიდენს თუ არა დიქტატორი გენოციდს სხვა ქვეყანაში.

„თქვენი ოჯახის ბიუჯეტი, თქვენი ავზის შევსების უნარი, ეს ყველაფერი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, გამოაცხადებს თუ არა დიქტატორი ომს და ჩაიდენს თუ არა გენოციდს ნახევარი მსოფლიოსთვის“, - განაცხადა პრეზიდენტმა. ბაიდენმა ასევე თქვა, რომ მან დაუშვა დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის სტრატეგიული რეზერვიდან გამოშვების უფლება, რათა გაუმკლავდეს „პუტინის ფასების ზრდას“. მანამდე ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის სისასტიკე „გენოციდამდე არ ასულა“.

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბაიდენის განცხადებას ნამდვილი ლიდერის სიტყვები უწოდა. „საგნებისთვის თავისი სახელის დარქმევა მნიშვნელოვანია ბოროტების დასაძლევად. ჩვენ მადლობელნი ვართ იმ დახმარებისთვის, რომელიც აშშ-მა უკვე გაგვიწია და სასწრაფოდ გვჭირდება მეტი იარაღი, რათა თავიდან ავიცილოთ რუსეთის შემდგომი ბოროტმოქმედება“, - დაწერა ზელენსკიმ ტვიტერზე. აშშ-ის პრეზიდენტმა რუსეთისა და პუტინის მიერ ბუჩაში ჩადენილ სისასტიკეს „ომის დანაშაული“ უწოდა.

* * *

მარიუპოლში რუსულმა ტანკმა კათოლიკურ საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტას უკრაინის“ ცენტრს ესროლა, რის შედეგადაც ორი უკრაინელი თანამშრომელი და მათი ოჯახის ხუთი წევრი დაიღუპა. „კარიტასზე“ თავდასხმა 15 მარტს მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ცნობილი მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში გახდა. ინფორმაციას Vatican News-ი ავრცელებს. „ეს დრამატული ამბავი საშინელებასა და შოკს იწვევს „კარიტასის“ ოჯახში“, - თქვა „კარიტას ინტერნაციონალის“ გენერალურმა მდივანმა ალოიზიუს ჯონმა.

* * *

შეერთებული შტატები მზადაა, განიხილოს უკრაინისთვის საშუალო დისტანციის იარაღის მიწოდების შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია რუსეთის აეროდრომებზე დარტყმების განხორციელება. ამის შესახებ, „ამერიკის ხმის“ ცნობით, აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილე კეტლინ ჰიქსმა განაცხადა. „დიახ, ჩვენ გავაგრძელებთ იმ საშუალებების მიწოდებას, რომლებსაც უკრაინელები ითხოვენ, რათა მათ ცოტა მეტი სიშორე და დისტანცია მივცეთ“, - თქვა ჰიქსმა კითხვის პასუხად, იქნება თუ არა ვაშინგტონი მზად, გადასცეს კიევს იარაღი, რომელიც პოტენციურად საშუალებას მისცემს, დაარტყას რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო აეროდრომებს. მან არ დააკონკრეტა იარაღის ტიპი და დეტალები. „სანამ ეს პაკეტები არ გამოცხადდება, არ ვისურვებდი, წინ გავუსწრო ჩვენს საპრეზიდენტო გადაწყვეტილებებს. თუმცა ამ პაკეტებს ძალიან სწრაფად გადავიტანთ და მჯერა, უახლოეს დღეებში უფრო მეტს ნახავთ“, - თქვა ჰიქსმა.

ამასთან დაკავშირებით მინისტრის მოადგილეს ჰკითხეს, ნიშნავს თუ არა მისი შენიშვნები, რომ შეერთებული შტატები მზადაა, განიხილოს უკრაინისთვის უფრო დიდი მოქმედების იარაღის მიწოდების შესაძლებლობა, ვიდრე აქამდე იყო გადაცემული. „პასუხი არის - დიახ“, - თქვა ჰიქსმა. გარდა ამისა, მან დაადასტურა, რომ ამერიკული მხარე გააგრძელებს უკრაინისთვის სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებას.

„ჩვენ ვიცით, რომ სადაზვერვო მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ ვუწევთ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უკრაინელებმა ასევე ნათლად განაცხადეს ეს საჯაროდ. ჩვენ გავაგრძელებთ ამას“, - თქვა ჰიქსმა. მან ასევე განმარტა, რომ შეერთებული შტატები გააგრძელებს უკრაინისთვის საბრძოლო მასალის მიწოდებას.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეერთებული შტატები უკრაინისთვის არტილერიისა და ვერტმფრენების მიწოდებას განიხილავს.

* * *

რუსეთის ფედერაცია შესაძლოა, აკუმულატორების გარეშე დარჩეს. არგენტინამ და ჩილემ მისთვის ლითიუმის მადნის მიწოდება შეაჩერეს. ამის შესახებ რუსული მედიის ცნობით, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეტალურგიისა და მასალების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ვლადისლავ დემიდოვმა განაცხადა. „რუსეთში ლითიუმის ნედლეულის წარმოება არ ხდება, ნედლეული, ლითიუმის კარბონატის სახით, ძირითადად, ჩილედან, არგენტინიდან, ჩინეთიდან და ბოლივიიდან მოდის. კონკრეტულად, ამჟამინდელ პირობებში, ჩილედან და არგენტინიდან გადაზიდვები შეჩერებულია. ამჟამად ნედლეულის მიღება მხოლოდ ბოლივიიდან არის შესაძლებელი“, - განაცხადა მან.

ლითიუმი კრიტიკულად საჭიროა ინდუსტრიის ტექნოლოგიური განვითარებისთვის - საავტომობილო ინდუსტრია და ბატარეების წარმოება, თვითმფრინავების წარმოება და მეტალურგია.

* * *

გუშინ დილით ბუჩაში პოლიციამ რუსი მკვლელების მიერ ჩადენილი ხოცვა-ჟლეტის შედეგად დაღუპულთა სამარხის მეორე ნაწილის ექსჰუმაცია დაიწყო. პოლიციის ცნობით, მასობრივ საფლავში 65 უდანაშაულო მსხვერპლია, რომლებიც დახვრიტეს, დაწვეს, მუხლუხებით გაანადგურეს.

ყველა საგამოძიებო მოქმედება ვიდეოზე ჩაიწერება როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება. ვიდეოში პოლიციის პოლკოვნიკი ყვება, როგორ იპოვეს ქალის ცხედარი დაახლოებით 4 და 10 წლის ბიჭებთან ერთად; როგორ იპოვეს პოლიციელი, ნატყვიარით თავში და მრავალი სხვა საზარელი ფაქტის შესახებ.

* * *

უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის ფონზე, თვითმფრინავების მწარმოებელმა Airbus-მა დასავლეთს მოუწოდა, უარი თქვან რუსეთიდან ტიტანის იმპორტის დაბლოკვის იდეაზე, რადგან ასეთი სანქციები დააზარალებს დასავლურ წარმოებას და ნაკლებად - რუსეთის ეკონომიკას. ამის შესახებ Reuters-ი იტყობინება.

როგორც Airbus-ის გენერალურმა დირექტორმა გულომ ფორიმ განაცხადა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ დაწესებული სანქციების გაფართოება ტიტანზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება კოსმოსურ ინდუსტრიაში, მიზანშეუწონელია. კომპანიამ აღნიშნა, რომ Airbus-ი ახლა აჩქარებს ალტერნატიული, არარუსული მარაგების ძიებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ჯერჯერობით, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, მწარმოებელი მოთხოვნილებებს მარაგებით ფარავს.

# საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა გადაყვანა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 565%-ით გაიზარდა

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***საქართველოს ექვსივე აეროპორტი - თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ნატახტრის, მესტიისა და ამბროლაურის - 2022 წლის პირველ კვარტალში 700,2 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 565%-ით მეტია, - იუწყება საქართველოს აეროპორტების გაერთიანება***

ყველაზე მეტ მგზავრს - 507050 - მოემსახურა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი. ზრდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შეადგენს 407%-ს. ამ მონაცემებით, აეროპორტი 2019 წელს დარეგისტრირებული მგზავრების რაოდენობას 63%-ით დაუბრუნდა.

მეორე ადგილზეა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც 121470 მგზავრს მოემსახურა. ზრდა შეადგენს 37,047%-ს 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (2021 წლის ამავე პერიოდში აეროპორტი 327 მგზავრს მოემსახურა). 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ქუთაისის აეროპორტის მგზავრთნაკადის აღდგენა 77%-ს შეადგენს.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 68474 მგზავრს, რაც 1,635%-ით მეტია, ვიდრე 2021 წელს და 32%-ით მეტი 2019 წელთან შედარებით.

რაც შეეხება ადგილობრივ აეროპორტებს, გაერთიანების ინფორმაციით, მესტია პირველ სამ თვეში მოემსახურა 1407 მგზავრს, რაც 307%-ით მეტია, ვიდრე 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და 13%-ით მეტი, ვიდრე 2019 წლის I კვარტალში მიღებული მგზავრების რაოდენობა.

# ბათუმის საკრებულოში კრიზისი გრძელდება

მე-2 გვერდიდან

„ქართულმა ოცნებამ“ ყველა ტიპის დანაშაული ჩაიდინა ოპოზიციისთვის უმრავლესობის წასართმევად.

„ბათუმი „ქართული ოცნებისთვის“ ერთ-ერთი უმძიმესი ადგილი გახდა, სადაც მათ ყველა ტიპის დანაშაული ჩაიდინეს იმისთვის, რომ ოპოზიციისთვის უმრავლესობა წაერთმიათ და გადაეწონათ საკუთარ ანგარიშზე. ეს არ შეიძლება ოპოზიციამ აპატიოს, წინაღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი ამომრჩევლების, დემოკრატიის და იმ მნიშვნელოვანი პრინციპების ღალატი იქნება, რისთვისაც საერთოდ, ამ სახელმწიფოში ვიბრძვით. რაც შეეხება იმის ახსნას, რით განსხვავდება ბათუმის შემთხვევა სხვა მუნიციპალიტეტებისგან, ნათელია, განსხვავდება ნუგზარ ფუტკარაძით, განსხვავდება გაყალბებული არჩევნებით, რომელშიც უზარმაზარი ფული ფიგურირებს, პირველ რიგში „შავ ფულზე“ ვსაუბრობთ და ამის შემდეგ, რაიმე დამატებით ლეგიტიმურობაზე საუბარი „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია, ამის არანაირი მორალური თუ პოლიტიკური უფლებები არ გააჩნია“, - განაცხადა ჟურნალისტებთან ირაკლი კუპრაძემ.

გასული თვეების განმავლობაში ბათუმის საკრებულოს ოპოზიცია თხოვდა „ქართულ ოცნებას“ სხდომაზე დასწრებას, თუმცა „ოცნება“ არ ცხადდებოდა. ახლა სურათი შეცვლილია - ამჯერად მმართველი პარტიის მიერ ჩანიშნულ სხდომას ოპოზიცია უცხადებს ბოიკოტს.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე თენგიზ აფხაზავა მათ დესტრუქციაში ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიზანი არეულობაა.

„დღევანდელმა დღემ ყველა დაგვარწმუნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და გახარიას პარტია შეთანხმებულად მოქმედებენ, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს საკრებულოს სხდომას და უარს ეუბნებიან ხალხის არჩევანს, 70 პროცენტით მხარდაჭერილ კანდიდატს. მათი მიზანი არეულობა და ქაოსია. „ქართული ოცნება“ სრული შემადგენლობით არის მოსული“, - აცხადებს თენგიზ აფხაზავა.

კონსულტაციების შემდეგ საკრებულოს მორიგი სხდომა ჩაინიშნება. რა გზას აირჩევენ დეპუტატები ჩიხიდან გამოსასვლელად, ჯერ უცნობია. საიას იურისტი პაატა დიასამიძე კი განმარტავს, რომ თუ ბათუმის საკრებულო 3 ივნისამდე ვერ შეიკრიბება, კანონმდებლობის მიხედვით, საკრებულოს უფლებამოსილება შეუწყდება და რიგგარეშე არჩევნები გამოცხადდება, რომელიც ოქტომბერში უნდა ჩატარდეს.

**ელენე საყვარელიძე**

## ხსოვნა

# ჯემალ ბერიძე



შუახეველი ღვაწლმოსილი პედაგოგების რიგებს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა - 76 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა წაბლანის საჯარო სკოლის ყოფილი მასწავლებელი ჯემალ ხუსეინის ძე ბერიძე.

მან ცხოვრების, პედაგოგიური საქმიანობის შესანიშნავი გზა გამოიარა. ჯერ კიდევ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა წაბლანის 8-წლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა. 2019 წლამდე, პედაგოგიურ ჯილდოზე გასვლამდე, უმწიკვლოდ, ენერგიულად ასრულებდა მინდობილ საქმეს.

ღირსეული ინჟინრები, პედაგოგები, ეკონომისტები, ბიზნესმენები, ეროვნული მეურნეობის სხვა სპეციალისტები დაფრთიანდნენ ბატონი ჯემალის ხელდასმით.

ჯემალ ბერიძის ოჯახი ერისა და ქვეყნის ღირსეული მამულიშვილების მასპინძელი იყო. ერთგულ თანამეცხედრეს, სამი ვაჟის გამზრდელ მამას, კარგად ჰქონდა გათავისებული პედაგოგის, მასპინძლის, მეუღლისა და მამის ფუნქციები. ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში შვილებს კვალიფიციური უმაღლესი განათლება მიაღებინა. მრავალწლიანი შრომის შემდეგ პენსიაზე რომ გავიდა, ჩრდილში მაინც არ მოექცა, თავის უნარსა და შესაძლებლობებს სოფელს, მეგობრებს ახმარდა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პედაგოგი. მისი ნათელი ხსოვნა თაობებს დარჩება.

**შუახევის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო რესურსცენტრი,**

**სამთპ-ის შუახევის რაიონული საბჭო,**

**წაბლანის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/04/22, 20 ⁰⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# უჩვეულო თეატრალური დასის სპექტაკლი – „ერთი სოფლის ამბავი“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ინკლუზიურმა დასმა „ცისარტყელამ“ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დარბაზში ახალი სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს, რომელიც საქველმოქმედო იყო - შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა უკრაინაში ომის შედეგად დაზარალებული შშმ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახების დასახმარებლად. ბილეთები არ გაყიდულა, ვის რამდენი შეეძლო, იმდენი გაიღო. წარმოდგენაში ერთად მონაწილეობდნენ სპეცკლასებისა და ჩვეულებრივი კლასების მოსწავლეები***

სპექტაკლი „ერთი სოფლის ამბავი“ ორი ქართული ზღაპრის მოტივებზეა - „სოფლის მაშენებელი“ და „კომბლე“ და მშვენივრად შეიკრა ერთ პიესად. აქ არის ამბავი ერთი სოფლისა, სადაც ცხოვრობენ კეთილმაშენებლები და აგრესორიც, რომელსაც სხვისი ტერიტორიის მითვისება უნდა. ერთიანობით ბოროტება მარცხდება.

როგორც რეჟისორი ნიკა ტუღუში ამბობს, ასეთი სპექტაკლის გაკეთების სურვილი დიდი ხანია ჰქონდა. იგი დასში რეჟისორად

მისი დაარსების დღიდან მოვიდა. მაშინ ბათუმის ხელოვნების სასწავლო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, ტელერეჟისორის სპეციალობას სწავლობდა.

- ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხელოვნების ინსტიტუტში მოვიდა ქალბატონი ციალა ტუღუში და გაგვიზიარა სპექტაკლის დადგმის სურვილი. ბედმა გამიღიმა, ამ ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა. 2007 წლიდან ერთად მოვდივართ, ერთად ვყალიბდებით, ვიზრდებით. ვცდილობთ, დავანგრიოთ სტერეოტიპები, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს. საკუთარი უნარის წარმოჩენის შესაძლებლობა თითოეულ ადამიანს უნდა მიეცეს. მიხარია, რომ მათი ცხოვრების ნაწილი გავხდი, ამ ურთიერთობით ორივე მხარე ბედნიერი ვართ. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გუნდურად ვმუშაობთ. ინკლუზიური ცენტრი რომ არა - სპეცმასწავლებელი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი, ხელმძღვანელი... ვერაფერს შევძლებდით. მე ამ მთლიანი ჯაჭვის ერთი რგოლი ვარ. ჩვენ ცალ-ცალკე ვაკეთებთ თითოეულზე დაკისრებულ პატარა-პატარა, მაგრამ ძალიან საჭირო საქმეს, რომლის შედეგიც, აი, ეს დიდი საქმეა, - გვითხრა ინკლუზიური თეატრალური დასის „ცისარტელას“ რეჟისორმა ნიკა ტუღუშმა.

- საბავშვო თეატრალური დასი „ცისარტყელა“ 2007 წელს შეიქმნა. თაობების ცვლასთან ერთად მასში 20-25 ბავშვი მონაცვლეობს. სპექტაკლები ინტეგრირებულია, ვცდილობთ, მასში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც ჩავრთოთ. სპექტაკლში სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვია ჩართული და უნდა ნახოთ, ეს მათთვის რა სიხარულია, ამიტომაცაა, რომ ჩვენი თეატრალური დასი წარმატებებს აღწევს. ვიყავით გასტროლზე თბილისში, ნოემბრში მაღალმთიან აჭარას ვსტუმრობდით, საინტერესო და საჭირო შეხვედრები გვქონდა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამ ბავშვების მშობლებიც ესწრებოდნენ. ვცდილობთ, ასეთ ურთიერთობებში ისინიც ჩავრთოთ, რომ გაიგონ, როგორ დაეხმარონ შვილებს. ეს მათი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას სჭირდება, - გვითხრა ხელოვნების მასწავლებელმა, თეტრალური დასის ხელმძღვანელმა მანანა მაჩალაძემ.

- ძაღლის როლს ვასრულებდი. ძალიან მომეწონა ამ სპექტაკლში მონაწილეობა. ჩემი სურვილია, ბავშვები ერთად ვიყოთ. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამის შესაძლებლობა მომცა, - გვითხრა იაგო აფაქიძემ.

- დიდი ხანია, ვმონაწილეობ სპექტაკლებში, ვითამაშე - „პატარა უფლისწულში“, „ფიროსმანში“, „რწყილი და ჭიანჭველაში“, „ჩხიკვთა ქორწილში“. დღევანდელ სპექტაკლში კომბლე ვიყავი, სიმღერაც შევძელი და გახარებული ვარ, - გვითხრა რეზიკო ყურშუბაძემ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ბათუმის ყველა სკოლაშია. როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან, მათ მზრუნველობა გამორჩეულად სჭირდებათ. ბოლო წლებია, სახელმწიფო ამ ბავშვების განათლებაზე, პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავს, თუმცა კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. ბათუმში მოქმედი თეატრალური დასი მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას უწყობს ხელს.

საქართველო ოფიციალურად ინკლუზიური განათლების განხორციელებას 2005-2006 წლებიდან შეუერთდა და ამის შესახებ კანონშიც ჩაიწერა. სწორედ მაშინ შექმნა პროექტი ქალბატონმა ციალა ტუღუშმა, რომელიც ახლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის სპეცკლასების სასწავლო ცენტრის კოორდინატორი გახლავთ და მას შემდეგ ამ მეტად საჭირო საქმეს ემსახურება.

- როცა პროექტის განხორციელება დავიწყეთ, მაშინ ერთი ფსიქოლოგი გვყავდა, რომელსაც თავადაც პრობლემური შვილი ჰყავდა. ერთი წელი კერძო სკოლასავით ჰქონდა გახსნილი. შემდეგ ფინანსების არსებობის გამო ვეღარ გააგრძელა სკოლამ ფუნქციონირება. ეს ბავშვები მაშინ ბათუმის მე-6 სკოლაში გადმოვიყვანეთ. პირველ წელს მერიამ დაგვაფინანსა, მას შემდეგ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გვაფინანსებს. სპექტაკლში მონაწილე ბავშვები ჩვეულებრივ კლასებშიც არიან ჩართულები და სპეციალური მასწავლებლები ემსახურებათ. მათ პერიოდულად აფასებენ მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, უტარდებათ ტესტირება, სადაც ჩანს, რა ტიპის მომსახურებას საჭიროებენ. ამ ეტაპზე მათთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაუშვა რამდენიმე სპეციალური მასწავლებელი, მათ შორის ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ასისტენტი (ვისაც სჭირდება, შეიძლება თბილისიდან მოვიწვიოთ ოკუპაციური თერაპევტი). ძალიან საჭირო პროექტია, ხდება ინკლუზიური სწავლების ცენტრის აღსაზრდელების ინტეგრირება სხვა დანარჩენ მოსწავლეებთან. რა თქმა უნდა, დასის პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებია, მათ გულისხმიერად ეხმარებიან ტიპური სკოლის მოსწავლეები. ადრე სპეცკლასების მასწავლებლები არ იყვნენ, პედაგოგებად კონკურსის წესით ინიშნებოდა ის, ვისაც რამე ტრენინგი ჰქონდა გავლილი. შარშან სპეციალური მასწავლებლების საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაბარეს. მათი ხელფასები გაუტოლდა საჯარო სკოლების მასწავლებლების ხელფასს. ასეთი გამოცდები წელსაც იქნება, ასევე ჩატარდება ტრენინგები. კვალიფიკაციის ამაღლება სულ მიმდინარეობს. ცუდია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ამის შემსწავლელი სპეციალობა საბაკალავრო პროგრამით არ არის



გათვალისწინებული, ვინმე თუ მოინდომებს, რომ სპეცმასწავლებელი გახდეს, მხოლოდ მაგისტრატურაში შეუძლია ისწავლოს, ისიც თბილისში. არადა, ასეთი მასწავლებლების საჭიროება გვაქვს. ახლა განსაკუთრებით ბევრია აუტისტური სპექტრის ბავშვი და რადგან პრობლემა არსებობს, მასწავლებელიც უნდა იყოს. ასეთი კონტინგენტისთვის ძალიან კარგია, რომ არსებობს ხელოვნების სტუდია-სახელოსნო, სადაც თიხაზე, თექაზე მუშაობას სწავლობენ, ასევე ბატიკას. ისიც მინდა გითხრათ, რომ ვინც ადრეც მონაწილეობდა სპექტაკლებში, ახლა საზოგადოებაში საკმაოდ ინტეგრირებულია და უპრობლემოდ ახერხებს სოციალიზაციას, ახლები ჯერ მორცხვობენ. ძირითად მასას უცხო გარემოში ადაპტირება უჭირს. ამიტომ არის საჭირო, რაც შეიძლება მეტი ჩაერთოს ამ სპექტაკლებში, რაც შეიძლება მეტი ასეთი პროექტი განხორციელდეს. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ როცა სკოლას ამთავრებენ, ასეთი სახის სერვისები აღარ აქვთ, ანუ რა შესაძლებლობებიც, უნარებიც გამოავლინეს ამ ხნის განმავლობაში, შემდგომ ვეღარ იყენებენ. აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ბავშვი ჩაირიცხოს პროფესიულ სასწავლებლებში, ეს და სხვა უნარები იქ განავითარონ, რომ შემდგომ საზოგადოებისგან არ დარჩნენ იზოლირებულები. ამ კუთხით ბევრია საფიქრალი, - გვითხრა ციალა ტუღუშმა.

სპექტაკლის ორგანიზატორებმა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს კომპანია „ტექტო ჯგუფს“, მის ერთ-ერთ დამფუძნებელ ერეკლე ქაჯაიას, რომელმაც ქველმოქმედების სახით ათი ათასი ლარი გაიღო.

# ანდრი ქავთარაძეს საიუბილეო თარიღი მიულოცეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, აჭარის ვეტერან სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარე ანდრი ქავთარაძეს 8 აპრილს 85 წელი შეუსრულდა***

სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, სადაც მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ იუბილარს მადლობის სიგელი გადასცა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სპორტის ამაგდარი ვეტერანი მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში მიიწვიეს, სადაც სასახლის დირექტორმა ირმა ნიჟარაძემ მას საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.

- აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, წლების განმავლობაში, ანდრი ქავთარაძე აჭარის ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის გენერალურ მდივნად მუშაობდა. მისი დამსახურება იყო, რომ ფედერაციას არა სპორტის დეპარტამენტი, არამედ პირდაპირ რესპუბლიკის ბიუჯეტი აფინანსებდა. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი მოჭიდავეების წარმატებული გამოსვლისთვის მას ღირსების მედალი გადაეცა. გენერალური მდივნის თანამდებობაზე ყოფნის დროს ფედერაციას უნარიანად ხელმძღვანელობდა. ანდრი ქავთარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის არა მხოლოდ ჭიდაობის, არამედ სპორტის სხვა სახეობების განვითარებაში, - გვითხრა მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის დირექტორის პირველმა მოადგილე ლევან ჯიოშვილმა.

# „კიტეიშვილთან ერთად „შტურმმა“ მეტოქეები წალეკა“

ავსტრიული Krone გრაცის „შტურმის“ წარმატებულ თამაშში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ოთარ კიტეიშვილის როლზე წერს: „შტურმმა“ ბუნდესლიგა წალეკა - „კლაგენფურტი“, „ვოლფსბერგერი“ და „აუსტრია“. ბევრი უკვე ხედავს, რომ გრაცელები აღმავლობის გზაზე დგანან, რასაც ხელს მრავალი ფაქტორი უწყობს. ერთ-ერთი მთავარი გუნდის ჯადოქარი ოთარ კიტეიშვილია - გუნდმა სამივე თამაში მას შემდეგ მოიგო, რაც ის ტრავმის შემდეგ დაბრუნდა. „ქართველ მესისთან“ ერთად, რომელიც გულშემატკივრებს ახარებს, გრაცელები არ აგებენ. მან 11-ჯერ ითამაშა და „შტურმმა“ 9 მატჩი მოიგო. მასთან ერთად „შტურმის“ საშუალო ქულაა 2,35, მის გარეშე - 1“.

შეგახსენებთ: ავსტრიის ბუნდესლიგის საჩემპიონო ზონაში გრაცელები მე-2 ადგილზე არიან და ლიდერ „ზალცბურგს“ სოლიდურად ჩამორჩებიან. წინ კიდევ 6 ტურია.

ამირან გურიელიძე